პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 263 (18505) ორშაბათი, 15 ნოემბერი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფხაზეთის მეციტრუსეებმა გააჩაღეს ციტრუსის კრეფა. წელს მათ იკისრეს ვალდებულება სახელმწიფოს მიჰყიდონ 45 ათასი ტონა მანდარინი, ფორთოხალი და ლიმონი — გეგმით გათვალისწინებულზე თითქმის ორი ათასი ტონით მეტი.

წარმატებით კრეფენ მოსავალს გალის რაიონის მეციტრუსეები, რომლებიც საკავშირო ფონდში გაგზავნიან სულ ცოტა 14 ათას ტონა ციტრუსს. ახლა კი ყოველდღიურად მოსკოვში, ლენინგრადში, ქვეყნის სხვა ქალაქებში 200-250 ტონა მანდარინი იგზავნება.

სურათზე: ამ დღეებში მანდარინის კრეფისას გამოირჩევა გალის რაიონის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობა „მზიურის" მუშა, კომკავშირელი მთვარისა ლაკერბაია.

ი. ჟოხონელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ლენინური კურსით

ჩვენი პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი, საერთაშორისო მუშათა კლასი, სსრ კავშირის მილიონობით საზღვარგარეთელი მეგობარი ამ დღეებში ღრმად განიცდიან მძიმე დანაკლისს — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის გარდაცვალებას. ჩვენს რიგებს გამოაკლდა კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს, საერთაშორისო კომუნისტური, მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე, მშვიდობისათვის მგზნებარე მებრძოლი, ხელმძღვანელი, რომელიც თითქმის ორი ათწლეული ედგა სათავეში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინურ შტაბს — მის ცენტრალურ კომიტეტს, იყო საბჭოთა სახელმწიფოს მეთაური. მის სახელთან, აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის 12 ნოემბერს გამართულ რიგგარეშე პლენუმზე, უშუალოდ არის დაკავშირებული დიადი მიღწევები ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში — ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, საბჭოთა ხალხის ისტორიული გამარჯვება დიდ სამამულო ომში, სახალხო მეურნეობის ომის შემდგომი აღდგენა, კოსმოსის კვლევა, ჩვენი წარმატებანი ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში.

ლ. ი. ბრეჟნევის მოღვაწეობა პარტიისა და სახელმწიფოს უმაღლეს პოსტებზე განუყოფელია პერიოდისაგან, როცა ჩვენი სამშობლო გავიდა განვითარებული სოციალიზმის მიჯნაზე, როცა საბჭოთა ადამიანებმა ჭეშმარიტად უმაგალითო შედეგები მოიპოვეს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. ეს იყო დრო, როცა მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის ურღვევმა კავშირმა, ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების ძმურმა მეგობრობამ შეიძინა თვისებრივად ახალი მდგომარეობა, რომელსაც განასახიერებს ადამიანთა ახალი სოციალური და ინტერნაციონალური ერთობა — საბჭოთა ხალხი. ეს იყო დრო, როცა მთელი ხალხი იღებდა ახალ ძირითად კანონს — სსრ კავშირის კონსტიტუციას, როცა ჩვენს საზოგადოებაში სულ უფრო მტკიცდებოდა კეთილნაყოფიერი მორალურ-პოლიტიკური ატმოსფერო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნდობა და პატივისცემა ადამიანებისადმი, სიმშვიდე და გულდაჯერება. და რაც მთავარია, ეს იყო მშვიდობიანი დრო, რომელიც უწინარეს ყოვლისა უზრუნველყოფილ იქნა ლენინური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს შეუპოვარი ბრძოლით საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური სისტემის სახელმწიფოთა პატიოსანი, თანასწორუფლებიანი თანამშრომლობისათვის.

ამ პერიოდში კაცობრიობის ყურადღებას იპყრობდა ოთხი სკკპ ყრილობა — XXIII, XXIV, XXV, XXVI ყრილობები. ამ ყრილობებმა ახალი ძალით ცხადყვეს სოციალისტური წყობილების ჰუმანიზმი, პარტიის ზრუნვა მშრომელი ადამიანის ინტერესებისათვის და დასახეს მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებათა სულ უფრო სრული დაკმაყოფილებისაკენ ეკონომიკის მკვეთრი შემობრუნების ამოცანა. ამ ყრილობებზე საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ განსაზღვრა თავისი ეკონომიკური სტრატეგია თანამედროვე პირობებში, მათ შორის ხანგრძლივი გეზი აგრარულ პოლიტიკაში, რომლის სათავედაც სამართლიანად ითვლება ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმი, ხოლო ყველაზე სრულ ხორცშესხმად — სსრ კავშირის სასურსათო პროგრამა. ამ ყრილობებმა გაამდიდრეს პარტიის, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის თეორიული არსენალი ახალი დასკვნებითა და დებულებებით, რომლებიც დღეს მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების განუყოფელი ნაწილია. სწორედ ჩვენი პარტიის ყრილობის ტრიბუნიდან შეიტყო მთელმა პლანეტამ მშვიდობის პროგრამის დებულებანი.

ეს იყო დაძაბული, მშვიდობიანი ალმშენებლობის დრო. ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ადამიანების შრომით შენდებოდა საბჭოეთში ახალი სოფლები და ქალაქები, მილსადენები და გზატკეცილები, ერთმანეთს უკავშირდებოდა ბამის ფოლადის რგოლები, იბურღებოდა სამოტლორისა და ურენგოის ჭაბურღილები, მწყობრში დგებოდა ისეთი გიგანტების საამქროები, როგორიც არის ვოლგის საავტომობილო ქარხანა, კამის საავტომობილო ქარხანა, „ატომმანქანა" და ბევრი სხვა.

რა თქმა უნდა, ჩვენ ვერ შევძელით ზოგიერთი რამის მთლიანად შესრულება ყოველივე იმიდან, რაც დავსახეთ. იყო ნაკლოვანებანიც, სიძნელენიც ამ გიგანტურ საქმიანობაში, რომელთა გამოვლენასა და დაძლევას პარტია არცთუ ცოტა ძალღონეს ახმარდა. თუმცა გასაგებიც არის, განა შეიძლებოდა ავცდენოდით სიძნელეებსა და ნაკლოვანებებს, ისეთ, ვ. ი. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ახალ, მთელი მსოფლიოს ისტორიისათვის ახალ საქმეში", როგორიც ჩვენია. მაგრამ ჩვენ მიერ მიღწეულის გრანდიოზულობას, სიდიადეს ვერაფერი ვერ დააკნინებს. ჩვენმა დიადმა სოციალისტურმა სამშობლომ ახალი უდიდესი ნაბიჯი გადადგა წინ ლენინის გზით, ოქტომბრის გზით. ჩვენი საზოგადოების ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური საფუძვლები კიდევ უფრო განმტკიცდა და ახლა განსაკუთრებით მტკიცეა. შეიქმნა მნიშვნელოვანი მარაგნამეტი კომუნიზმისაკენ შემდგომი წინსვლისათვის.

ეს მოძრაობა არც ერთი წუთით არ უნდა შეფერხდეს. ჩვენი საყვარელი სამშობლო იზრდება, ვითარდება, იხვეწება, და დანაკლისი, რაც უნდა მწარეც იყოს იგი, ვერ დაარღვევს ამ დიად პროცესს. თაობებს თაობები ცვლიან, ადამიანები ესტაფეტასავით გადასცემენ ერთმანეთს თავიანთ საქმეს, საზრუნავსა და გეგმებს. და ახალ-ახალი მებრძოლები მიდიან სულ წინ და წინ ლენინის მიერ დასახული კურსით.

პარტიის კურსის, მისი გადაწყვეტილებების მემკვიდრეობითობა მთლიანად დაადასტურა სკკპ ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმმა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად ერთხმად არჩეულმა ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა პლენუმზე გამოსვლის დროს აღნიშნა, რომ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების იმ უდიდესი ამოცანების გადაწყვეტა, რომლებიც განსაზღვრეს სკკპ XXVI ყრილობამ და ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმებმა, ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ხელმძღვანელობით შემუშავებული ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო-პოლიტიკური კურსის თანამიმდევრული შესრულება ჩვენი უპირველესი მოვალეობაა.

საბჭოთა ქვეყნის თითოეული კომუნისტის, თითოეული მშრომელისათვის დღევანდელობის ამოცანა ახლა სწორედ ის არის, რომ თავის პოსტზე, თავის ცხოვრებაში გააკეთოს რაც შეიძლება მეტი, მიაღწიოს, რომ ჩვენი ალმშენებლობითი გეგმაზომიერი შრომის ტემპი განუხრელად იზრდებოდეს. ამას ჩვენგან მოითხოვს არა მარტო მომენტის თავისებურება და კომუნისტური მშენებლობის გეგმების მასშტაბი, არამედ ის იდეურ-პოლიტიკური, მატერიალურ-ტექნიკური და სოციალურ-ზნეობრივი კაპიტალიც, რომელიც პარტიამ და ხალხმა დააგროვეს, შესაძლებლობანი, რომლებიც განვითარებული სოციალიზმის საზოგადოებას აქვს.

ჩვენ გვაქვს თანამედროვე ეტაპზე ალმშენებლობის მკაფიო პროგრამა — სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებანი, მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმები. ეს გადაწყვეტილებანი, ეს გეგმები პარტიისა და ხალხის საქმიანობის საიმედო იდეურ-პოლიტიკური საფუძველია. მათი განხორციელების მიზანი კვლავაც იქნება საბჭოთა ადამიანების ცხოვრების შემდგომი გაუმჯობესება.

ჩვენ გვაქვს მოწინავე მეცნიერება, გვყავს უაღრესად კულტურული, პროფესიულად ჩინებულად მომზადებული მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა კადრების მრავალმილიონიანი რაზმი. ჩვენი მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, სახალხო ინტელიგენცია მუდამ იძლეოდნენ დარაზმულობის, გერგილიანობის, თვითდისციპლინის, იმის უნარის მაგალითებს, რომ იშრომონ სრული უკუგებით, მტკიცედ იბრძოლონ მშობლიური პარტიის გეგმების განხორციელებისათვის. დღეს პარტიული ორგანიზაციების, ყველა კომუნისტის მიზანი ის არის, რომ ყოველნაირად დაიცვან, განავითარონ მილიონთა დაძაბული შემოქმედებითი შრომის ატმოსფერო.

ჩვენ გვაქვს გიგანტური ეკონომიკური პოტენციალი და უდიდესი ბუნებრივი სიმდიდრეები — ხალხის ფასდაუდებელი კუთვნილება. ჩვენ უფრო ენერგიულად უნდა მოვაქციოთ ისინი სამეურნეო ბრუნვაში, ჩავაყენოთ ადამიანთა სამსახურში, გამოვიყენოთ წიგნიერად, ეკონომიურად, ქვეყნის განვითარების პერსპექტივების გათვალისწინებით.

ჩვენ გვაქვს ისეთი რესურსებიც, რომლებიც არ არის და არც შეიძლება იყოს სხვა სოციალურ პირობებში. საქმე ეხება საბჭოთა ადამიანების მაღალ პოლიტიკურ შეგნებას, მგზნებარე პატრიოტიზმს, ინტერნაციონალისტურ მრწამსს. სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისათვის მზადება ერთხელ კიდევ მოწმობს, თუ რაოდენ შეკავშირებულია ჩვენი ხალხი, რაოდენ ახლობელია ჩვენი თანამემამულისათვის, სადაც უნდა შრომობდეს და რომელ ერსა თუ ეროვნებას უნდა განეკუთვნებოდეს იგი, სამშობლოს ინტერესები, მისი ბედი. სოციალისტური საზოგადოება ძლიერია მასების შეგნებით, აღნიშნავდა ლენინი, და დღენიადაგ უნდა გვახსოვდეს ეს სიტყვები. პარტიულმა ორგანიზაციებმა, კომუნისტებმა კვლავაც უნდა გააძლიერონ, სრულყონ იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა, მიაღწიონ მისი ეფექტიანობის ამაღლებას.

სამართლიანად ვამაყობთ ჩვენი ისეთი მონაპოვრითაც, როგორიც არის საბჭოეთის უმაღლესი ავტორიტეტი მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში. კომუნისტური პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი მიმართვაში სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ საჯაროდ დაადასტურეს: ჩვენი მისწრაფება მშვიდობისადმი უცვლელია. ლენინური პარტია, საბჭოთა სახელმწიფო, რომლებიც ეყრდნობიან ჩვენი სამშობლოს ეკონომიკურ და თავდაცვით ძლიერებას, კვლავაც ყოველ ღონეს იხმარენ, რათა საბჭოთა ადამიანების, სოციალისტური ქვეყნების მშრომელების, ჩვენი მეგობრების მშვიდობიანი შრომა საიმედოდ იყოს დაცული.

ამოცანები, რომლებიც დასახულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა ხალხის წინაშე, გრანდიოზულია, მათ სამართლიანად უწოდებენ მსოფლიო-ისტორიულს. სრულიად უეჭველია, რომ ისინი შესრულდება. ამის საწინდარია პარტიის უმდიდრესი პოლიტიკური გამოცდილება და ბრძოლისუნარიანობა, მისი ურყევი ერთგულება დიდი ლენინის ანდერძისადმი, მისი ავტორიტეტი და გავლენა მასებში. ამის საწინდარია საბჭოთა საზოგადოების, დიადი საბჭოთა ხალხის ურღვევი ერთიანობა, ხალხისა, რომელიც კიდევ უფრო მჭიდროდ ირაზმება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, ამის საწინდარია საბჭოთა ადამიანების შრომისმოყვარეობა, მოქალაქეობრიობა, იდეური წრთობა, რომლებმაც მტკიცედ იციან, რომ მათი ნაცადი კოლექტიური ბელადი — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ნებისმიერ ვითარებაში თავისი ისტორიული მისიის სიმაღლეზე რჩება.

საბჭოთა ხალხი, რომელიც სულ უფრო მაღლა სწევს ლენინის დროშას, ლენინური პარტიის წინამძღოლობით მიდის წინ — ლენინური გზით!

ПРАВДА

14 ნოემბრის მოწინავე

მოწოდების პასუხად

ჭიათურა. (საქ. კორ.). მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის მშრომელთა მოწოდებას — 18 დეკემბერს მოეწყოს მასობრივი შაბათობა, ერთსულოვნად გამოეხმაურნენ მანგანუმის ქალაქის მშრომელებიც.

შაბათობის მომწყობ საორგანიზაციო შტაბებს მაღაროთსამმართველოების პარტიული კომიტეტები ხელმძღვანელობენ. კონკრეტულად შემუშავებული გეგმით ყველაფერი გათვალისწინებული და გაანგარიშებულია.

— 18 დეკემბერს ჩვენთან პროდუქციის შექმნაზე 1.200 კაცი იმუშავებს, — გვითხრა დიმიტროვის სახელობის მაღაროთსამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილემ გ. სხირტლაძემ. დამზადდება 700 ტონა მანგანუმის სასაქონლო კონცენტრატი.

— დიმიტროველებს არც ჩვენ ჩამოვრჩებით, — განაგრძო საუბარი ზ. პატარიძის სახელობის მაღაროთსამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა პ. კაპანაძემ, — მონდომებით ვიშრომებთ, მეტალურგიული ქარხნებისათვის დავამზადებთ 1.200 ტონაზე მეტ კონცენტრატს, ხოლო გამომუშავებულ თანხას — 4.500 მანეთს, ხუთწლედის ფონდში გადავრიცხავთ.

კვლავაც მაღალი შეგნებით და ორგანიზებულობით

საიუბილეო ვახტზე

ზესტაფონი. (საქ. კორ.). აქაური მეკაბელეები პირველნი გამოეხმაურნენ მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის მშრომელთა თაოსნობას და ვალდებულება იკისრეს სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის აღსანიშნავად 25 დეკემბრისათვის შეესრულებინათ პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა. მათი შრომის ტემპი უფრო სწრაფი გამოდგა, ვიდრე ვარაუდობდნენ. 10 თვის საწარმოო დავალება 12 დღით ადრე შესრულდა და მომხმარებელს ათიათასობით ზეგეგმითი პროდუქცია გაეგზავნა. მეკაბელეებმა ახალი კორექტივი შეიტანეს წინათ ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებაში. მათი ვარაუდით, წლიური გეგმა 18 დეკემბრისათვის შესრულდება, ამასთან გამოუშვებენ 440 ათასი მანეთის ზეგეგმითს პროდუქციას.

მეკაბელეებს მხარი აუბეს რაიონის სხვა საწარმოთა კოლექტივებმაც.

ვალდებულება შესრულდება

ბოგდანოვკა. (საქ. კორ.). საქართველოს კომკავშირის 50 წლისთავის სახელობის სამკერვალო ფაბრიკაში, სადაც 230 კაცი შრომობს, ფართოდ გამოეხმაურნენ მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივის თაოსნობას სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი კომუნისტური შაბათობის მოწყობის შესახებ.

18 დეკემბერს შაბათობაში მონაწილეობას მიიღებს ფაბრიკის მთელი კოლექტივი, რომელიც იმუშავებს დაზოგილი ნედლეულით და ელექტროენერგიით. აქ გამოუშვებენ 15 ათასი მანეთის ზეგეგმითს პროდუქციას. სულ ბოგდანოვკელი მკერავები წლიური გეგმის გადამეტებით დაამზადებენ 130 ათასი მანეთის პროდუქციას. ასეთია მათი საიუბილეო ვალდებულება, რომლის წარმატებით შესრულებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ მკერავები ვ. არზუმანიანი, კ. არუთინიანი, ე. სანოსიანი და სხვები. ისინი ყოველდღიურ დავალებებს 140-150 პროცენტით ასრულებენ.

მოსკოვი ეთხოვება ლ. ი. ბრეჟნევს

ღრმა მწუხარებას მოუცავს ჩვენი სახელმწიფო. გლოვა გამოცხადებულია საზღვარგარეთის მთელ რიგ ქვეყნებში. საბჭოთა ადამიანები, მთელი პროგრესული კაცობრიობა უდიდეს პატივს მიაგებენ თანამედროვეობის გამოჩენილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ხსოვნას.

14 ნოემბერს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში პარტიისა და ხალხის ერთგული შვილის ხსოვნის პატივსაცემად მოვიდნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელები. განსვენებულის კუბოსთან საპატიო ყარაულში არიან ამხანაგები ი. ვ. ანდროპოვი, მ. ს. გორბაჩოვი, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომიკო, ნ. ა. ტიხონოვი, დ. თ. უსტინოვი, კ. უ. ჩერნენკო, ვ. ი. დოლგიხი, ტ. ი. კისელიოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი, მ. ვ. ზიმიანინი, ი. ვ. კაპიტონოვი, კ. ვ. რუსაკოვი. მწუხარე დუმილით ისინი პატივს მიაგებენ დიდი ადამიანის, ხელმძღვანელის, თანამებრძოლის, მეგობრისა და ამხანაგის ხსოვნას.

შემდეგ პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელები უახლოვდებიან განსვენებულის ნათესავებსა და ახლობლებს და ღრმა სამძიმარს უცხადებენ მათ.

დაუსრულებლად მიემართებიან მშრომელთა კოლონები გორკისა და პუშკინის ქუჩებზე. მწუხარე დუმილით ადამიანები მიდიან სვეტებიან დარბაზში, რათა უკანასკნელი ვალი მოიხადონ ადამიანის წინაშე, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია ჩვენი სამშობლოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი ეტაპები.

მშრომელი ხალხის სამსახური იყო ლეონიდ ილიას ძის მთელი ცხოვრების უმაღლესი მიზანი და აზრი. იგი, მუშის შვილი, მუდამ იყო ხალხის შუაგულში, ცხოვრობდა მისი ფიქრებითა და საზრუნავით. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელისადმი უდიდესი მადლიერების, სიყვარულის ნიშნად დედაქალაქის საწარმოების მუშათა კოლექტივებს კავშირების სახლში მოაქვთ უამრავი გვირგვინი და ყვავილები. მძიმე დანაკლისის გამო დამწუხრებულებმა ჩაიარეს კუბოსთან პროლეტარის რაიონის მშრომელებმა. მათ შორის არიან სახელგანთქმული ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის მუშა-მოსამსახურენი. ავტოქარხნელთა გულში სამუდამოდ დარჩება ლეონიდ ილიას ძესთან შეხვედრა 1976 წლის 30 აპრილს. მისი რჩევა-დარიგებანი, რეკომენდაციები საიმედო ორიენტირი გახდა ქარხნის კოლექტივის წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტაში.

პროლეტარელებს მოჰყვებიან პეროვის რაიონის მშრომელები. აქ, მოსკოვის სახარისხებელი სადგურის სალოკომოტივო დეპოში, საბჭოთა ხელისუფლების გარიჟრაჟზე იშვა დიდი ლენინის მიერ მხურვალედ მოწონებული სოციალისტური შეჯიბრების თაოსნობა. პარტია მთელ მომდევნო წლებში მხარს უჭერდა და ავითარებდა ამ პატრიოტულ წამოწყებას. ლეონიდ ილიას ძეს თავის მოხსენებებსა და გამოსვლებში არაერთხელ მიუქცევია ყურადღება იმისათვის, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს შეჯიბრებას კოლექტივებში პარტიის გეგმების რეალიზაციისათვის. მას ღრმად სწამდა მუშათა კლასის შრომითი ენთუზიაზმი, მისი უსაზღვრო ერთგულება ლენინის საქმისადმი.

დამწუხრებული მოდიან ჭაღარით მოსილი პარტიის ვეტერანები. კოლონებში არიან ისინი, ვინც იარაღით იცავდა საბჭოთა ხელისუფლებას სამოქალაქო ომის წლებში და აღადგენდა ქვეყნის მეურნეობას პირველი ხუთწლედების დროს. მათ კოსტიუმებს ამშვენებს 50-წლიანი პარტიული სტაჟის საპატიო ნიშნები. ლეონიდ ილიას ძე მათთვის ძვირფასი და ახლობელია როგორც იდეური თანამოაზრე, როგორც ადამიანი, რომელიც ცხოვრებაში მიდიოდა სამშობლოს სამსახურის იმავე ძნელი და სახელოვანი გზებით.

პარტიის ვეტერანებს ცვლიან ომის ვეტერანები. ბევრი მათგანი ლ. ი. ბრეჟნევის მხარდამხარ იბრძოდა დიდი სამამულო ომის ფრონტებზე.

— ომი განვვლე მისი პირველი წლიდან უკანასკნელ წლამდე, — თქვა საბჭოთა კავშირის ელექტროტექნიკური ინსტიტუტის ბიუროს უფროსმა მ. ა. ანუროვმა. — ვიბრძოდი მცირე მიწაზე ლეონიდ ილიას ძესთან ერთად. მე იგი მახსოვს იმ დროიდან, როცა ახალგაზრდა, მამაცი პოლიტკომისარი იყო, მასთან ერთად მივდიოდით სამშობლოსათვის ბრძოლაში. ჩემ თვალწინ იგი პარტიულ ბილეთებს გადასცემდა ჩვენს საუკეთესო მეომრებს. ასეთი რამ დაუვიწყარია.

ბრძენი და კეთილი დამრიგებელი იყო ლეონიდ ილიას ძე ახალგაზრდა თაობისთვის. ახალგაზრდა თაობა მას მიაჩნდა ვეტერანების საიმედო ცვლად. ლ. ი. ბრეჟნევს არაერთხელ მიუცია მაღალი შეფასება ბამზე, სხვა დიდ მშენებლობებზე კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის გმირობისათვის.

— ენით გამოუთქმელია ჩვენი მწუხარება ლეონიდ ილიას ძის გარდაცვალების გამო, — თქვა სამკერვალო გაერთიანება „ჩერიომუშკის" ახალგაზრდა მექანიკოსმა ვ. ვ. სპირიდონოვმა. — ჩვენს გულში სამუდამოდ დარჩება მისი ნათელი სახე — უბრალო და გამოჩენილი ადამიანის სახე, რომელიც მუდამ თითოეულ ჩვენგანზე ფიქრითა და ზრუნვით ცხოვრობდა. მას სურდა ქვეყანა ენახა აყვავებული, ძლიერი და მძლავრი. ჩვენ, მშრომელი ადამიანები, დარწმუნებული ვართ, რომ ეს ასეც იქნება. ჩვენს რწმენას საფუძვლად უდევს სკკპ ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმის გადაწყვეტილება, რომელზეც ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად ერთხმად აირჩიეს ლ. ი. ბრეჟნევის ერთგული თანამებრძოლი იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი. ეს მიგვაჩნია საიმედო მემკვიდრეობითობად საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობისათვის, ქვეყნად მშვიდობის განმტკიცებისათვის, კომუნიზმის იდეალების გამარჯვებისათვის ზრუნვის შემდგომი გამოვლინების საქმეში. ჩვენი თავდადებული შრომით განვამტკიცებთ ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს.

— ყველა საბჭოთა დედამ იცის, რა უსაზღვროდ და მხურვალედ უყვარდა ლეონიდ ილიას ძეს ქვეყნის ყველაზე პრივილეგიური კლასი — ბავშვები, — თქვა № 1 ფაბრიკა „საბავშვო წიგნის" დირექტორმა, სოციალისტური შრომის გმირმა ნ. დ. ნაზაროვამ. — რამდენი რამ გააკეთა მან იმისათვის, რომ ისინი ჯანსაღნი და სულიერად მდიდარნი ყოფილიყვნენ. საბავშვო წიგნების მრავალტირაჟიანი გამოცემები — პარტიის მუდმივი საზრუნავი — ეს იყო ლ. ი. ბრეჟნევის მუდმივი პირადი საზრუნავიც. ჩვენ თავს ვხრით მისი ხსოვნის წინაშე.

... არც ერთი წუთით არ წყდება ადამიანთა ნაკადი კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში. სამგლოვიარო მელოდიების ჰანგებზე ერთმანეთს ცვლის საპატიო ყარაული.

საპატიო ყარაულში დგებიან დედაქალაქის მოწინავე ადამიანები, საბჭოეთის მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენლები. საბჭოთა კავშირის მარშლის კუბოსთან ვახტზე გამუდმებით დგას საპატიო ყარაული მოსკოვის გარნიზონის ჯარებისაგან. მათ ხელში უჭირავთ კარაბინები — სიმბოლო იმისა, რომ ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვრები საიმედოდ არის დაცული. ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს კარგი საბრძოლო და პოლიტიკური მომზადება აქვთ, ისინი მზად არიან ყოველ წუთს გამანადგურებელი საპასუხო დარტყმა მიაყენონ აგრესორს.

მძიმე ომის ქარცეცხლში გამოვლილმა ლეონიდ ილიას ძემ კარგად იცოდა მშვიდობიანი ცხოვრების ფასი. მას არაერთხელ უთქვამს, რომ საბჭოთა ხალხს თავის ალმშენებლობითს შრომაში მხოლოდ მშვიდობა სჭირდება. და ლ. ი. ბრეჟნევის სახელი პლანეტის მილიონობით მცხოვრებისათვის განუყოფელი გახდა მშვიდობის, დაძაბულობის შენელებისა და განიარაღებისათვის ბრძოლისაგან.

— კაცობრიობა არასდროს არ დაივიწყებს ლეონიდ ილიას ძის უდიდეს წვლილს ჩვენს პლანეტაზე მშვიდობის მიღწევის საქმეში, — თქვა ქარხანა „ბორეცის" მემოდელემ ვ. ვ. პეჩატკინმა. — სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე იგი იბრძოდა ქვეყნად ადამიანის ყველაზე წმიდათაწმიდა უფლებისათვის — სიცოცხლის უფლებისათვის, ბედნიერების უფლებისათვის. ყველა საბჭოთა ადამიანი კვლავაც ხელს შეუწყობს ლ. ი. ბრეჟნევის ხელმძღვანელობით შემუშავებული სამშვიდობო პროგრამის რეალიზაციას.

ლ. ი. ბრეჟნევის გარდაცვალებამ ჩვენი საზღვარგარეთელი მეგობრების, მთელი პროგრესული კაცობრიობის ღრმა მწუხარება გამოიწვია. მისი ხსოვნის პატივსაცემად 14 ნოემბერს სვეტებიან დარბაზში მოვიდნენ სოციალისტური ქვეყნების პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციები, სხვა სახელმწიფოების კომუნისტური, მუშათა და სახალხო-დემოკრატიული პარტიების ხელმძღვანელები, რომლებიც დაკრძალვაზე ჩამოვიდნენ.

ლ. ი. ბრეჟნევის ხსოვნას უდიდესი პატივი მიაგეს მთელი რიგი განვითარებადი და კაპიტალისტური სახელმწიფოების ხელმძღვანელებმა, თვალსაჩინო პოლიტიკურმა და საზოგადო მოღვაწეებმა.

...გვიან ღამემდე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევთან გამოსათხოვებლად მოდიოდნენ საბჭოთა ადამიანები. ესოდენ დიდი დანაკლისის მძიმეა კომუნისტური პარტიისათვის, ჩვენი სახელმწიფოსათვის, თითოეული საბჭოთა ადამიანისათვის. მთელი ქვეყნისათვის ამ მწუხარების ჟამს საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მთავრობის მიმართვა აღიქვა იმის მტკიცე რწმენად, რომ ლენინის დროშა, ოქტომბრის დროშა საიმედო ხელშია. მრავალრიცხოვან სამგლოვიარო მიტინგებზე მშრომელები აცხადებენ, რომ ლენინური პარტიის ნაცადი ხელმძღვანელობით ისინი კვლავაც ამრავლებენ ძალებს საყვარელი საბჭოეთის აყვავებისათვის ბრძოლაში. (საქტასი).

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის დამკრძალავი კომისიისაგან

კომისია იუწყება, რომ ქვეყანაში გლოვის გამოცხადების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის დაკრძალვის დღეს — 1982 წლის 15 ნოემბერს, დაკრძალვის მომენტში 12 საათსა და 45 წუთზე მოსკოვის დროით მიეცემა ქვემეხის ზალპები მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქებში, გმირ ქალაქებში: ლენინგრადში, ვოლგოგრადში, ოდესაში, სევასტოპოლში, ნოვოროსიისკში, ქერჩში, ტულაში, გმირ ციხესიმაგრე ბრესტში, აგრეთვე ქალაქებში კალინინგრადში, ლვოვში, დონის როსტოვში, კუიბიშევში, სვერდლოვსკში, ნოვოსიბირსკში, ჩიტაში, ხაბაროვსკში, ვლადივოსტოკში, სევერომორსკში, დნეპროპეტროვსკში, ზაპოროჟიესა და დნეპროძერჟინსკში.

ამავე დროს ხუთი წუთით შეჩერდება საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე ყველა საწარმოსა და ორგანიზაციის მუშაობა უწყვეტი წარმოების საწარმოების გარდა; სამი წუთის განმავლობაში მიეცემა სალუტი საყვირებით ფაბრიკებში, ქარხნებში, რკინიგზებზე, საზღვაო და სამდინარო ფლოტის გემებზე.

სურათზე: საპატიო ყარაულში დგანან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელები.

საქტას-საქინფორმის ტელეფოტო.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები

ცალკე ბროშურად გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე, 1982 წლის 12 ნოემბრის პლენუმის მასალები, რომელშიც შეტანილია საინფორმაციო ცნობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ, ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის სიტყვა, ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სიტყვა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის მოკლე ბიოგრაფია.

ბროშურა გამოუშვა პოლიტგამომცემლობამ. (საქტასი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი

სამშობლო გლოვობს

ჩვენი უკიდეგანო სამშობლოს ყოველ კუთხეში ეწყობა სამგლოვიარო მიტინგები, მიძღვნილი დიადი ლენინური საქმის ერთგული განმგრძობის, მშვიდობისა და კომუნიზმისათვის მგზნებარე მებრძოლის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ნათელი ხსოვნისადმი. საბჭოთა ადამიანები გლოვობენ ამ უმძიმეს დანაკლისს და, ამასთანავე, კიდევ უფრო მჭიდროდ რაზმავენ თავიანთ რიგებს ლენინური პარტიის გარშემო, ისწრაფვიან სკკპ XXVI ყრილობაზე დასახული კომუნისტური მშენებლობის პროგრამის წარმატებით შესრულებისათვის. ისინი ერთსულოვნად იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმის შედეგებს, რომლის დოკუმენტებში ახალი ძალითაა ხაზგასმული პარტიის პოლიტიკის მემკვიდრეობითობა სსრ კავშირის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცების, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების, მშვიდობის დამკვიდრების ამოცანების განხორციელებაში.

მოსკოვის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის ავტომატური ხაზების ქარხანა... აქ წუთიერი დუმილით პატივი სცეს ლ. ი. ბრეჟნევის ხსოვნას მოწინავე საწარმოს მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა პერსონალმა და მოსამსახურეებმა.

— ლეონიდ ილიას ძის ცხოვრების გზა, — თქვა ზეინკალმა ლ. ლობანოვმა, — ესაა ერთგული ბოლშევიკ-ლენინელის, ბრძენი ხელმძღვანელის გზა. იგი განუყრელადაა დაკავშირებული მშობელი ქვეყნის ისტორიასთან, ხალხის ბედთან. ჩვენ, მუშათა კლასის წარმომადგენლებს, განსაკუთრებით გვეამაყება, რომ ლ. ი. ბრეჟნევი სისხლხორცეულად იყო დაკავშირებული ჩვენს გარემოსთან. იგი ხომ ამ გარემომ აღზარდა. მას მთელი სიცოცხლის მანძილზე გაჰყვა წრფელი მადლიერება იმათდამი, ვინც ქმნის მატერიალურ და სულიერ სიმდიდრეს, სახეს უცვლის სამყაროს. მისი უპირველესი საზრუნავი იყო ადამიანთა კეთილდღეობა. მუშაკაცისადმი ასეთი მამობრივი ზრუნვა მუდამ გვასხამდა ფრთას დამკვრელური შრომისათვის.

იაროსლავლის მოტორის ქარხანაში გამართული მიტინგის თითოეული მონაწილის აზრი გამოხატა გაერთიანება „ავტოდიზელის" მთავარმა კონსტრუქტორმა გ. ჩერნიშევმა, როცა განაცხადა:

— ლეონიდ ილიას ძის ცხოვრება და მოღვაწეობა მუდამ იყო კომუნიზმის, ხალხის, სამშობლოსადმი სამსახურის შესანიშნავი მაგალითი. ჩვენ აღვუთქვამთ მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, რომ მთელ ძალ-ღონეს მოვახმართ მის მიერ დასახული პროგრამების — სამშობლოს სოციალური და ეკონომიკური განვითარების პროგრამების რეალიზაციას.

უდიდესი გულისტკივილით აღიქვეს მგზნებარე კომუნისტის, დიდი საბჭოთა მამულიშვილის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის გარდაცვალების ამბავი შორეული აღმოსავლეთის ქარხანა „დალზავოდის" გემთშემკეთებლებმა. აქ კარგად ახსოვთ, როგორ ეცნობოდა ლეონიდ ილიას ძე მათი საწარმოს საამქროებს, აძლევდა რჩევა-დარიგებას მუშებსა და ინჟინრებს, უზიარებდა მათ თავის მოსაზრებებს.

— გულისხმიერება და ყურადღება ადამიანთა მიმართ, — თქვა ოსტატმა ა. მაიბოროდამ, — ყოველდღიური ზრუნვა მათი კეთილდღეობის, ჩვენს პლანეტაზე მშვიდობის დამკვიდრებისადმი, აი, ის შესანიშნავი თვისებები, რომლებმაც ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს სიყვარული და პატივისცემა მოუხვეჭა არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მთელ მსოფლიოში.

მიტინგის მონაწილეებმა — ზღვისპირეთის მხარის მეზღვაურებმა და მებადურებმა, მანქანათმშენებლებმა და მაღაროელებმა, ქიმიკოსებმა და სოფლის მეურნეობის მშრომელებმა გამოთქვეს რწმენა, რომ ახალი მიღწევებით აღნიშნავენ სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს.

ხალხმრავალი იყო მიტინგი ვ. ი. ლენინის სახელობის დნეპრის ჰიდროელექტროსადგურში, სადაც შეიკრიბნენ მშენებელთა და ენერგეტიკოსთა რამდენიმე თაობის წარმომადგენლები. ბევრი მათგანი პირადად იცნობდა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს, რომელიც პირველ ომისშემდგომ წლებში მეთაურობდა ზაპოროჟიეს საოლქო პარტიულ ორგანიზაციას, ნაცარტუტიდან აღადგენდა დნეპრჰესს.

ზაპოროჟიეს ინდუსტრიული კომპლექსის აღდგენის ერთ-ერთმა მონაწილემ ი. ივანოვმა განაცხადა:

— ჩვენ, ვეტერანებს, მუდამ გვეხსომება ლეონიდ ილიას ძის, იმ ადამიანის ბოლშევიკური მიზანსწრაფვა და უდიდესი ორგანიზატორული ტალანტი, რომლის სახელთან და მრავალმხრივ მოღვაწეობასთანაც განუყრელადაა დაკავშირებული დნეპრისპირეთის აღდგენა და აყვავება. სადაგ დღეებში თუ დღესასწაულის დროს იგი მუდამ მასების შუაგულში ტრიალებდა, წარმართავდა მათ უპირველესი ამოცანების გადასაწყვეტად, შეეძლო ჩაესახა ყველაზე ძნელი საქმის წარმატების რწმენა.

მღელვარედ ლაპარაკობდნენ ლ. ი. ბრეჟნევზე — მშვიდობისათვის მგზნებარე მებრძოლზე, თანამედროვეობის უთვალსაჩინოეს პოლიტიკურ მოღვაწეზე, ახალგაზრდობის ბრძენ დამრიგებელზე მინსკის გაერთიანება „ინტეგრალის" მუშები და მოსამსახურეები.

— ლეონიდ ილიას ძის მთელი აზრები და საქმენი ექვემდებარებოდა ერთ მიზანს — კომუნიზმის საქმის უანგარო სამსახურს — თქვა შემდუღებელმა, საამქროს კომკავშირული ორგანიზაციის მდივანმა ტ. ლაბკომ, — კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელისაგან ვსწავლობდით ჩვენ, კომკავშირელები, რევოლუციურ წვას, უდრეკ ბოლშევიკურ სიმტკიცეს, მგზნებარე პატრიოტიზმსა და პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს. დიდხანს გვეხსომება მისალმება, რომელიც ლ. ი. ბრეჟნევმა გამოუგზავნა ჩვენს კოლექტივს მეათე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულების გამო. ჩვენ მამაშვილურ დარიგებად აღვიქვით მისი სიტყვები, როცა ახალ შრომით წარმატებებს გვისურვებდა.

სამგლოვიარო მიტინგები გაიმართა ლენინგრადის მ. ი. კალინინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, „ურალფოლადკონსტრუქციის" სვერდლოვსკის ტრესტში, გაერთიანება „ბრიანსკის მანქანათსაშენებელ ქარხანაში", უფის მოტორსაშენებელ საწარმოო გაერთიანებაში, ყაბარდო-ბალყარეთის ასს რესპუბლიკის კოლმეურნეობა „წითელ ვარსკვლავში", თბილისის 37-ე საშუალო სკოლაში, ვილნიუსის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სხვა კოლექტივებში. (საქდესი).

საქართველოს მშრომელები უდიდეს პატივს მიაგებენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს უთვალსაჩინოესი ხელმძღვანელის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ხსოვნას. რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში, ისევე როგორც მთელ ქვეყანაში, დახრილია სამგლოვიაროლენტებიანი წითელი ალმები. მიტინგებსა და კრებებზე, რომლებიც ყველგან იმართება, მშრომელები უდიდეს მწუხარებას გამოთქვამენ მძიმე დანაკლისის გამო, აღნიშნავენ ლენინის დიადი საქმის ერთგული განმგრძობის უდიდეს წვლილს კომუნისტურ აღმშენებლობაში, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლაში. მთლიანად და სავსებით იწონებენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმის გადაწყვეტილებებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის არჩევას, ისინი პირობას დებენ, რომ კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმებიან მშობლიური კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, აცხადებენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მთელი თავიანთი ძალ-ღონე მოახმარონ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შემდგომ აყვავებას, წარმატებით განახორციელონ სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებანი.

ჩვენი ძალაა ერთიანობა და შეკავშირება

თბილისი

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სააქტო დარბაზში გამართულ სამგლოვიარო მიტინგზე მოვიდნენ პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები.

— დიდ გულისტკივილს განვიცდით, — თქვა ინსტიტუტის რექტორმა, საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ვ. მეტრეველმა, — ჩვენს რიგებს გამოაკლდა მგზნებარე პატრიოტი და დიდი ინტერნაციონალისტი, გამოჩენილი რევოლუციონერი, მშვიდობისათვის მებრძოლი, თანამედროვეობის უთვალსაჩინოესი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი.

მიტინგზე გამოვიდნენ პროფესორები მ. გაფრინდაშვილი, გ. ღეკანოიძე, კ. თარგამაძე, გ. ბადრიშვილი. მათ გაიხსენეს ლეონიდ ილიას ძის სიტყვები, რჩევა-დარიგებანი, სურვილები, რომლებიც მან გამოთქვა საქართველოში ყოფნის დროს და რომლებიც მათი ყოველდღიური მუშაობის, ცხოვრების შუქურად იქცნენ.

აგრონომიის ფაკულტეტის სტუდენტმა, ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის წევრმა დ. მელაძემ აღნიშნა, რომ უდიდესმა ზრუნვამ, რომელსაც მუდამ იჩენდა ახალგაზრდების მიმართ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი, ღრმა კვალი დატოვა უმაღლესი სასწავლებლის კომკავშირელთა გულში.

—ჩვენ ყოველთვის ვუპასუხებდით მას შვილური სიყვარულითა და უღრმესი პატივისცემით, ვსწავლობდით მისგან რევოლუციურ წვას, უდრეკ სიმტკიცეს, მგზნებარე პატრიოტიზმს, — თქვა სატყეო მეურნეობის ფაკულტეტის სტუდენტმა, ლენინურმა სტიპენდიატმა ვ. ფანჩულიძემ.

მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმის გადაწყვეტილებანი, გამოთქვეს მტკიცე რწმენა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ბრძნული ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი პირნათლად შეასხამს ხორცს დიად იდეებს, რომელთა სამსახურს მთელი თავისი სიცოცხლე შეალია ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა.

ბათუმი

ბათუმის სამკერვალო საწარმოო გაერთიანების კოლექტივის სამგლოვიარო მიტინგზე გამოვიდა პირველი საამქროს მოტორისტი მკერავი ლ. ქავრელიშვილი.

— ძნელი დასაჯერებელია ჩვენთვის, საბჭოთა ადამიანებისათვის, — თქვა მან, — რომ აღარ არის ლეონიდ ილიას ძე. კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა ხალხმა, მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ დაკარგა ლენინის დიადი საქმის ერთგული განმგრძობი. ჩვენ კიდევ უფრო მჭიდროდ შევკავშირდებით ჩვენი ლენინური პარტიის გარშემო, განვახორციელებთ მის წინასწარდასახულობებს.

ღრმა მწუხარებით იყო გამსჭვალული პარტიის ვეტერანის ს. აივაზოვას, გაერთიანების გენერალური დირექტორის, სკკპ XXVI ყრილობის დელეგატის მ. ხალვაშის გამოსვლები. თითოეულმა ორატორმა მთლიანად და სავსებით დაუჭირა მხარი სკკპ ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმის გადაწყვეტილებას ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის არჩევის შესახებ.

რუსთავი

— **რუსთავის**, ისევე როგორც მთელი ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ყოველთვის გრძნობდნენ მშრომელი ხალხისათვის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მუდმივ ზრუნვას, — თქვა პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა რ. გიორგაძემ ამწეთსაშენებელი ქარხნის მშრომელთა სამგლოვიარო მიტინგზე გამოსვლისას,— ჩვენთვის, რუსთაველი მშრომელებისათვის ღირსსახსოვარია მისი შეხვედრა მეტალურგიული ქარხნის მუშებთან და მოსამსახურეებთან, ქალაქ რუსთავში ყოფნის დროს გამოთქმული კეთილი რჩევა-დარიგება და მითითებანი. დაუვიწყარია ლეონიდ ილიას ძის მამობრივი ზრუნვა და ყურადღება რუსთავის საბავშვო სახლის კოლექტივისადმი, მისი წერილები, რომლებიც მან მოსწერა საბავშვო სახლის პედაგოგებს, აღმზრდელებს, მეფოლადე ო. ლომიძეს, ქალაქის ქიმიკოსებს.

მძიმეა ჩვენი დანაკლისი, ღრმაა მწუხარება. ამ გლოვის ჟამს რუსთაველი კომუნისტები, მშრომელები, რომლებიც უფრო მჭიდროდ ირაზმებიან, ერთსულოვნად უჭერენ მხარს ჩვენი პარტიის ლენინურ შტაბს, სკკპ ცენტრალურ კომიტეტს. პარტიისა და ხალხის ეს მონოლითური ერთიანობა ყველაზე ნათლად გამოვლინდა ამ სამგლოვიარო დღეებში, — ქალაქის ყველა კოლექტივი კიდევ უფრო მეტი მონდომებით მუშაობს. რუსთაველი მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, მხურვალედ უჭერენ მხარს სკკპ ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმის გადაწყვეტილებას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად ლეონიდ ილიას ძის უახლოესი თანამებრძოლის იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის არჩევის შესახებ.

მიტინგზე გამოვიდნენ ქარხნის ტექნიკური კონტროლის განყოფილების ოსტატი, სოციალისტური შრომის გმირი ა. სობოლევა, მთავარი ტექნოლოგის მოადგილე ე. კუპატაძე, ხარატი გ. ბაკაევი, კომკავშირის კომიტეტის მდივანი ვ. ვარდანიძე და სხვები, რომლებმაც აღუთქვეს პარტიას, რომ დამკვრელური შრომით უზრუნველყოფენ პარტიის მიერ დასახული ყველა ამოცანის შესრულებას.

ტყვარჩელი

დახრილია სამგლოვიაროლენტიანი წითელი დროშები. მიტინგზე შეიკრიბა მაღაროთსამმართველოს „ტყვარჩელის" № 2 შახტის მთელი კოლექტივი.

ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან წარმოების მოწინავენი ა. ჩერგენზია, ვ. უსანოვი, ი. ბაგაევი და სხვები. ისინი ლაპარაკობენ იმაზე, რომ კომუნისტურმა პარტიამ, მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სახით დაკარგა ერთგული ლენინელი, რომლის სახელთან განუყოფლად არის დაკავშირებული კაცობრიობის ყველაზე ნათელი იდეალები: მშვიდობა, ბედნიერი ცხოვრების უფლება.

— მძიმეა ჩვენი დანაკლისი, — თქვა მოწინავე მაღაროელმა ვ. ხინთუბამ, — მაგრამ ჩვენ კიდევ უფრო მჭიდროდ ვირაზმებით ლენინური კომუნისტური პარტიის გარშემო. დამკვრელური შრომით, მაღალი შეგნებულობითა და ორგანიზებულობით განვამტკიცებთ ჩვენი საყვარელი სამშობლოს ძლიერებას, ღირსეულად შევხვდებით სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს.

სამგლოვიარო მიტინგი დამთავრდა. თითოეული თავის სამუშაო ადგილს იკავებს — სანგრევში, ლავაში, მიწისზედა კომპლექსში.

ახალქალაქი

სოფელ ხანდოს კოლმეურნეობის წევრთა სამგლოვიარო მიტინგის გახსნისას კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მ. საარიანმა თქვა:

— ღრმა მწუხარებით აღიქვა საბჭოთა ხალხმა, მსოფლიოს ყველა პატიოსანმა ადამიანმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის გარდაცვალების ამბავი. მან მთელი თავისი დიდი, ნათელი ცხოვრება მოახმარა ლენინის დიად საქმეს, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობას. მე, როგორც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, წილად მხვდა ბედნიერება არაერთხელ შევხვედროდი ამ შესანიშნავ ადამიანს. იგი ჩვენთვის, დეპუტატებისათვის, სამართლიანობის, კაცთმოყვარეობის, ნამდვილი კომუნისტის ნიმუში იყო.

ტრიბუნაზეა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, სოციალისტური შრომის გმირი, მწველავი ქ. პაპოიანი:

— ყოველმა კომუნისტმა დღეს უნდა უჩვენოს სამშობლოს ერთგული სამსახურის, იმ იდეალების განხორციელების მაგალითი, რომლებისთვისაც იბრძოდა ლეონიდ ილიას ძე. ჩვენ შევასრულებთ მის ანდერძს, კიდევ უფრო გავზრდით მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებას. ჩვენი კოლმეურნეობა — ჯერ კიდევ ახლახან არარენტაბელური, ახლა დიდი, მოწინავე მეურნეობაა. მიმდინარე წელს, რომელიც ყველა ჩვენგანისათვის ძნელი იყო, მოვიწიეთ რესპუბლიკაში კარტოფილის ყველაზე უხვი მოსავალი — 122 ცენტნერი ჰექტარზე, ყველა პირობა შევქმენით ხორცისა და რძის დამზადების გეგმების შესრულებისათვის.

მიტინგზე გამოსულებმა — კოლმეურნეობის მექანიზატორმა მ. აკოფიანმა, სხვა კოლმეურნეებმა განაცხადეს, რომ კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმებიან კომუნისტური პარტიის გარშემო, დამკვრელური შრომით კვლავაც განამტკიცებენ ქვეყნის ეკონომიკას. მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად ლეონიდ ილიას ძის უახლოესი თანამებრძოლის ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის არჩევის შესახებ.

ცხინვალი

— **აუნაზღაურებელი** დანაკლისი განიცადა ჩვენმა პარტიამ და ხალხმა, — თქვა ცხინვალის სატყეო კომბინატის პარტბიუროს მდივანმა გ. რომენსკაიამ სამხრეთ ოსეთის მრეწველობის ამ პირმშოს კოლექტივის სამგლოვიარო მიტინგზე გამოსვლისას, — ლ. ი. ბრეჟნევის ხელმძღვანელობით ჩვენმა სამშობლომ ახალი უდიდესი ნაბიჯი გადადგა ოქტომბრის გზაზე. ლენინური ეროვნული პოლიტიკის თანამიმდევრული განხორციელების შედეგად სწრაფად ვითარდება საბჭოეთის ყველა ერისა და ეროვნების ეკონომიკა და კულტურა. ამას ცხადყოფს სამხრეთ ოსეთის მაგალითი, სადაც 1922 წელთან შედარებით ეკონომიკური პოტენციალი 100-ჯერ და მეტად გაიზარდა.

— ჩვენ, მუშები, — თქვა მიტინგზე სატყეო კომბინატის მუშამ, შრომის ვეტერანმა ზ. გაზაევმა, — ისევე, როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, სამუდამოდ შევინახავთ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ნათელ ხსოვნას.

— ლენინურად ღრმა იყო, — თქვა საწარმოს მოწინავე მუშამ, „საპატიო ნიშნის" ორდენოსანმა ზ. მედოევმა, — ლ. ი. ბრეჟნევის ყურადღება და ზრუნვა მშრომელი ადამიანებისადმი, მათი მუშაობის, ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების პირობების გაუმჯობესებისათვის, რითაც მშრომელთა უდიდესი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. ამ გლოვის ჟამს ყველას კარგად გვესმის, რომ ლ. ი. ბრეჟნევის ხსოვნის საუკეთესო გამოხატულება იქნება ჩვენი დამკვრელური შრომა სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ჩვენი ერთგულება კომუნიზმის მშენებლობის საქმისადმი, რომელსაც ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა მთელი თავისი ცხოვრება მოახმარა.

მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმის გადაწყვეტილება სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის პოსტზე ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის არჩევის შესახებ. მათ განაცხადეს, რომ კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმებიან პარტიისა და მისი ლენინური შტაბის — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გარშემო, თავიანთ წვლილს შეიტანენ საყვარელი სამშობლოს ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომ განმტკიცებაში.

ქუთაისი

ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის ასობით მუშა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი შეიკრიბა სამგლოვიარო მიტინგზე, რათა პატივი მიეგოთ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ხსოვნისათვის.

— დიდი დანაკლისი განიცადა ჩვენმა პარტიამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა, — თქვა თავის გამოსვლაში გამომცდელმა მძღოლმა, სოციალისტური შრომის გმირმა ბ. ვაშაკიძემ, — მუშათა კლასის შვილი, იგი ბევრ ძალ-ღონესა და ენერგიას ახმარდა ბრძოლას ლენინური იდეების განხორციელებისათვის, მშვიდობისა და ხალხის კეთილდღეობისათვის. ლეონიდ ილიას ძის წინადადებით დაიწყო ჩვენი ქარხნის რეკონსტრუქცია, სადაც დამზადდება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სპეციალური ავტომატარებლები. დროულად დავამთავრებთ რეკონსტრუქციას, ვადამდე ავითვისებთ საპროექტო სიმძლავრეებს და ამით საუკეთესო ძეგლს დავუდგამთ ძვირფას და საყვარელ ლეონიდ ილიას ძეს.

მიტინგზე გამოვიდნენ წარმოების მოწინავეები ს. კულუმბეგაშვილი, ა. სირაძე, შ. გიგინეიშვილი და სხვები. ქუთაისის ავტომშენებლებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი სკკპ ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმის გადაწყვეტილებას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის არჩევის შესახებ და გამოთქვეს რწმენა იმისა, რომ კვლავაც თავიანთი შრომით განამტკიცონ ქვეყნის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერება.

ყაზბეგი

— **ლეონიდ** ილიას ძის მთელი აზრები და საქმეები ექვემდებარებოდა მშრომელი ადამიანების ინტერესებს, — თქვა ყაზბეგის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატში გამართული სამგლოვიარო მიტინგის გახსნისას კომბინატის მთავარმა ინჟინერმა რ. სუჯაშვილმა, — რესპუბლიკის მთის რეგიონების სოციალური და ეკონომიკური განვითარებისათვის პარტიის მიერ დასახული ღონისძიებანი მთლიანად შეეხო ჩვენს რაიონსაც. ბოლო წლებში ბევრი რამ გაკეთდა მხარის გარდაქმნისათვის, მთიელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

დიდი გულისტკივილით იყო გამსჭვალული კომბინატის ახალგაზრდა მუშის გ. გონიაშვილის სიტყვები, მიტინგზე გამოსვლისას რომ წარმოთქვა.

— ლეონიდ ილიას ძე, — თქვა მან, — ყოველი საბჭოთა ადამიანისათვის სამაგალითოა ცხოვრებასა და მუშაობაში. ამ გლოვის დღეებში გვინდა აღვუთქვათ კომუნისტურ პარტიას, მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, რომ ვიმუშავებთ უკეთ, მთელ ძალ-ღონეს მოვახმართ სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებას.

კომბინატის მუშაკებმა ერთსულოვნად მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმის გადაწყვეტილებანი და ვალდებულება იკისრეს წლის დამლევამდე გამოუშვან ხუთ მილიონ მანეთისაზე მეტი ზეგეგმითი პროდუქცია.

(საქინფორმი).



ხსოვნა გულისა

მთელი საბჭოთა ხალხისათვის ამ უმძიმეს დღეებში მეხსიერებაში ცოცხლდება მოვლენები და ფაქტები, რომლებიც დაკავშირებულია ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ნათელ სახელთან.

...მაგონდება ლეონიდ ილიას ძის ერთ-ერთი ჩამოსვლა კიევში 1966 წელს. კონცერტის შემდეგ მე მასთან წარმადგინეს. სულ რამდენიმე წუთი იყო, მაგრამ რა ღირსსახსოვარია ის წუთები ჩემთვის! მაშინვე შევიგრძენი ლეონიდ ილიას ძის დიდი ადამიანური მომხიბვლელობა. როდესაც გაიგო, რომ მე ქართველი ვიყავი და კიევის საოპერო თეატრში ვმუშაობდი, კმაყოფილებით თქვა: „ეს ძალიან კარგია, ჩვენ, სხვადასხვა ერების წარმომადგენლები, უფრო უნდა ვიცნობდეთ ერთმანეთს, უფრო მძლავრი უნდა იყოს ჩვენი კავშირი. ყოველივე ეს აღრმავებს მეგობრობას, ურთიერთპატივისცემას".

ანდა, რა დამავიწყებს 1976 წელს, როდესაც მე წილად მხვდა ბედნიერება გამოვსულიყავი კრემლში, გიორგის დარბაზში ლეონიდ ილიას ძის 70 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე. დარბაზში იყვნენ სტუმრები მსოფლიოს ყველა კუთხიდან. და რა საგრძნობი იყო ამ სხვადასხვა მსოფლმხედველობის ადამიანთა სიყვარული და პატივისცემა ლეონიდ ილიას ძისადმი, ადამიანისადმი, რომელიც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრებით მშვიდობისათვის, ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებისათვის იღვწოდა.

...მისი ხსოვნის პატივსაცემად ჩვენ, საბჭოთა ადამიანები ვალდებული ვართ კიდევ უფრო შემჭიდროვდეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო, ვიცხოვროთ დიდი ლენინის იდეებით. ამის ნათელი მაგალითი ხომ თვითონ ძვირფასი ლეონიდ ილიას ძე იყო.

ამ სამგლოვიარო დღეებში ჩვენ მტკიცედ გვჯერა, რომ ის სამომავლო საქმენი, რომელთა გაკეთებაც ლეონიდ ილიას ძემ ვერ მოასწრო, პირნათლად აღსრულდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, მისი გენერალური მდივნის იური ვლადიმირის ძე ანდროპოვის ხელმძღვანელობით.

ლამარა ჭყონია,
სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

ჭირსა შიგან გამაგრება!..

ამხანაგმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელობის 18 წლის მანძილზე თავი გამოიჩინა არა მარტო როგორც დიდმა პოლიტიკურმა და სახელმწიფო მოღვაწემ, არამედ როგორც უაღრესად კეთილშობილმა, გულთბილმა ადამიანმა. მისი ეს ჩინებული თვისებები ყველასათვის შესამჩნევი და ნათელი იყო, მაგრამ, ბუნებრივია, უფრო ცხადი ხდებოდა იმათთვის, ვინც მას პირადად იცნობდა. მეც ერთ-ერთი იმათთაგანი ვარ, ვინც შეხვედრია ამ ნათელ პიროვნებას, დიდ სახელმწიფო მოღვაწეს.

ლეონიდ ილიას ძეს პირველად სამამულო ომის წლებში, ფრონტზე შევხვდი, როცა საქართველოს დელეგაციასთან ერთად ვეწვიე ქართველ მეომრებს, კერძოდ მე-18 არმიის მებრძოლებს. ეს იყო 1943 წლის შემოდგომაზე. ჩემთან ერთად დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი, აკაკი ხორავა... იქ ვხატავდი ქართველ მებრძოლებს, მეთაურებს, სხვებთან ერთად მაშინ გავაკეთე ჩანახატი ლ. ი. ბრეჟნევის პორტრეტისათვის. კარგად მახსოვს ის სითბო და გულისხმიერება, რომელიც გამოიჩინა ლეონიდ ილიას ძემ ჩვენი დელეგაციის მიმართ.

შემდეგ მე მას შევხვდი კრემლში, 1963 წელს, როდესაც სსრ კავშირის სახალხო მხატვრის წოდება მომენიჭა. სხვებთან ერთად მეც პირველად ლეონიდ ილიას ძემ მომილოცა ეს საპატიო ჯილდო.

მაგონდება ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის პირველი ჩამოსვლა საქართველოში. განსაკუთრებით დასახსომებელი იყო სიტყვა მის პატივსაცემად გამართულ დარბაზობაზე. მან აღნიშნა ქართველი ერის საუკეთესო თვისებები — ვაჟკაცობა, მეგობრობა, ქართველი ხალხის წვლილი დიდ სამამულო ომში.

დიდი ადამიანის, ჩინებული პიროვნების, ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სახე შთამბეჭდავად არის ასახული მხატვრობაში. სხვა ქართველ მხატვრებთან ერთად მეც მაქვს შექმნილი ლეონიდ ილიას ძის რამდენიმე პორტრეტი.

მძიმე დანაკლისს განვიცდით თანამედროვეობის უთვალსაჩინოესი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის გარდაცვალების გამო... ახლა, ამ საყოველთაო გლოვის დროს ყოველ ჩვენგანს მართებს მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი მეტი თანადგომა, მეტი სიმტკიცე და „ჭირსა შიგან გამაგრება!"

მწამს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის მეთაურობით ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტია, ჩვენი მშვიდობისმოყვარე მრავალეროვანი ქვეყანა კვლავაც მიზანსწრაფულად გაჰყვება დიად ლენინურ გზას.

უჩა ჯაფარიძე.

დიდი სამძიმარი

ამ დღეებში სახელმწიფოებისა და პარტიების ხელმძღვანელები, სხვადასხვა ქვეყნის მთავრობათა მეთაურები მიდიან სსრ კავშირის საელჩოებში და პატივს მიაგებენ თანამედროვეობის გამოჩენილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწის ლ. ი. ბრეჟნევის ნათელ ხსოვნას.

ბუდაპეშტი. სსრ კავშირის საელჩოს ეწვივნენ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები — ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ნემეტი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დ. ლაზარი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელები. მათ გულწრფელი თანაგრძნობა გამოთქვეს ლ. ი. ბრეჟნევის, თანამედროვეობის უთვალსაჩინოესი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწის, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის გარდაცვალების გამო, და დატოვეს ჩანაწერი სამგლოვიარო წიგნში.

ვარშავა. სსრ კავშირის საელჩოს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში ეწვივნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. იარუზელსკი, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ჰ. იაბლონსკი, ქვეყნის სხვა პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელები. მათ ჩანაწერი დატოვეს სამძიმრის წიგნში და დიდი მწუხარება გამოთქვეს იმის გამო, რომ გარდაიცვალა ლ. ი. ბრეჟნევი, ვ. ი. ლენინის საქმის ერთგული განმგრძობი, თავისი პარტიისა და ხალხის უსაზღვროდ ერთგული ადამიანი, რომელმაც მთელი სიცოცხლე მოახმარა კომუნისტური მშენებლობის, სოციალისტური სახელმწიფოთა ძმური ოჯახის ერთიანობისა და ძლიერების განმტკიცების დიადი პროგრამის განხორციელებას.

სოფია. ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საელჩოს ეწვია გ. ფილიპოვი, პ. მლადენოვი და ბულგარეთის კომუნისტური პარტიისა და ბულგარეთის სახელმწიფოს სხვა ხელმძღვანელები, რომლებმაც წუთიერი დუმილით სცეს პატივი ლ. ი. ბრეჟნევის ხსოვნას.

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს, მინისტრთა საბჭოსა და ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ტ. ჟივკოვის სახელით მათ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საბჭოთა კომუნისტებს, მთელ საბჭოთა ხალხს გამოუცხადეს დიდი სამძიმარი ბულგარელ კომუნისტთა და მთელი ბულგარელი ხალხის სახელით.

პრაღა. სსრ კავშირის საელჩოში ლ. ი. ბრეჟნევის გარდაცვალების გამო სამძიმრის გამოსაცხადებლად მოვიდნენ ჩეხოსლოვაკიის ხელმძღვანელები, სამძიმრის წიგნში ჩანაწერი დატოვეს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა გ. ჰუსაკმა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ ლ. შტროუგალმა, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრებმა, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა.

ჰავანა. სსრ კავშირის საელჩოს ეწვივნენ კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ფ. კასტრო, სხვა კუბელი ხელმძღვანელები. მათ წუთიერი დუმილით სცეს პატივი ლ. ი. ბრეჟნევის ხსოვნას და ჩანაწერი დატოვეს სამძიმრის წიგნში.

ულან-ბატორი. ლ. ი. ბრეჟნევის გარდაცვალების გამო მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები ი. ცედენბალის მეთაურობით ეწვივნენ სსრ კავშირის საელჩოს. მათ სამგლოვიარო წიგნში დატოვეს შემდეგი ჩანაწერი: „სსრ კავშირის კომუნისტებთან და მშრომელებთან, მსოფლიოს პროგრესულ ძალებთან ერთად ვგლოვობთ იმის გამო, რომ უეცრად გარდაიცვალა საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის უთვალსაჩინოესი მოღვაწე, მონღოლი ხალხის დიდი მეგობარი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის გმირი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის შრომის გმირი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საპატიო მოქალაქე ლ. ი. ბრეჟნევი".

ჰანოი. ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს და ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დელეგაცია ეწვია სსრ კავშირის საელჩოს ლ. ი. ბრეჟნევის გარდაცვალების გამო მისასამძიმრებლად. დელეგაციის სახელით ვიეტნამელმა ხელმძღვანელებმა — ლე ზუანმა, ჩიონგ ტინმა, ფამ ვან დონგმა და ნგუენ ჰიუ თხომ სამგლოვიარო წიგნში დატოვეს ჩანაწერი, რომელშიც დიდი მწუხარებაა გამოთქმული იმის გამო, რომ გარდაიცვალა ლ. ი. ბრეჟნევი — დიადი ლენინური საქმის ერთგული განმგრძობი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი ხელმძღვანელი, მშვიდობის, სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვებისათვის დაუღალავი მებრძოლი, ვიეტნამელი ხალხის დიდი მეგობარი.

ფხენიანი. კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი კიმ ირ სენი, კორეის შრომის პარტიისა და კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხვა ხელმძღვანელები მოვიდნენ სსრ კავშირის საელჩოში და სამძიმარი გამოუცხადეს ლ. ი. ბრეჟნევის გარდაცვალების გამო.

პნომპენი. კამპუჩიის სახალხო რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები ჩეა სიმი, ჩან სი, საი ბუთხონგი, ბუ თხონგი, ჩეა სოტი და კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის სხვა პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელები ეწვივნენ სსრ კავშირის კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს. მათ დიდი სამძიმარი გამოთქვეს იმის გამო, რომ გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი ხელმძღვანელი, კომუნისტური და მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე ლ. ი. ბრეჟნევი.

პეკინი. ლ. ი. ბრეჟნევის გარდაცვალების გამო სსრ კავშირის საელჩოში მისასამძიმრებლად მოვიდნენ სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ულან ფუ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს წევრი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ხუან ხუა და სხვები. მათ ჩანაწერი დატოვეს სამგლოვიარო წიგნში.

ჰავანა. კუბაში ოფიციალურ ვიზიტად მყოფი ლაოსის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი, ლაოსის უმაღლესი სახალხო კრების თავმჯდომარე სუფანუვონგი ლ. ი. ბრეჟნევის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ეწვია სსრ კავშირის ჰავანის საელჩოს. მან გვირგვინი მიიტანა ლ. ი. ბრეჟნევის სამგლოვიარო პორტრეტთან, წუთიერი დუმილით პატივი სცა მის ხსოვნას და დატოვა ჩანაწერი სამძიმრის წიგნში.

ბელგრადი. იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. სტამბოლიჩი, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. რიბიჩიჩი, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის სკუპშჩინის თავმჯდომარე რ. დიზდარევიჩი და სხვა იუგოსლაველი პარტიული და პოლიტიკური მოღვაწენი ეწვივნენ სსრ კავშირის საელჩოს და დატოვეს ჩანაწერი სამძიმრის წიგნში ლ. ი. ბრეჟნევის გარდაცვალების გამო.

დელი. ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ი. განდი ეწვია სსრ კავშირის საელჩოს. მან პატივი მიაგო ლ. ი. ბრეჟნევის ხსოვნას და დატოვა ჩანაწერი სამძიმრის წიგნში.

მანაგუა. სსრ კავშირის საელჩოს ეწვივნენ სახალხო განთავისუფლების სანდინისტური ფრონტის ეროვნული ხელმძღვანელობისა და ეროვნული აღორძინების მთავრობის ხელმძღვანელი საბჭოს წევრები. სახალხო განთავისუფლების სანდინისტური ფრონტის ეროვნული ხელმძღვანელობის წევრმა, მთავრობის ხელმძღვანელი საბჭოს კოორდინატორმა დანიელ ორტეგამ ჩანაწერი დატოვა სამგლოვიარო წიგნში.

ადის-აბება. დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს და ეთიოპიის მშრომელთა პარტიის საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარე მენგისტუ ჰაილე მარიამი ეწვია სსრ კავშირის საელჩოს და ჩანაწერი დატოვა სამძიმრის წიგნში ლ. ი. ბრეჟნევის გარდაცვალების გამო.

ლუანდა. მპლა-შრომის პარტიის დელეგაცია მისი თავმჯდომარის, ანგოლის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის ჟოზე ედუარდუ დუშ სანტუშის მეთაურობით ეწვია სსრ კავშირის საელჩოს. ჟ. ედუარდუ დუშ სანტუშმა ჩანაწერი დატოვა სამგლოვიარო წიგნში.

ბამაკო. მალის ხალხის დემოკრატიული კავშირის პარტიის გენერალური მდივანი, მალის რესპუბლიკის პრეზიდენტი მ. ტრაორე ეწვია სსრ კავშირის საელჩოს და ჩანაწერი დატოვა სამძიმრის წიგნში.

ლუსაკა. ზამბიის პრეზიდენტი კ. კაუნდა და ეროვნული დამოუკიდებლობის გაერთიანებული პარტიის გენერალური მდივანი ხ. მულემბა ეწვივნენ სსრ კავშირის საელჩოს და სამძიმარი გამოთქვეს ლ. ი. ბრეჟნევის გარდაცვალების გამო.

ბისაუ. სსრ კავშირის საელჩოს ეწვია გვინეა-ბისაუს რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია პაიგკის პარტიის გენერალური მდივნის, გვინეა-ბისაუს რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარის ჟოაუ ბერნარდუ ვიეირას მეთაურობით. სამძიმრის წიგნში ჟ. ბ. ვიეირამ ჩანაწერი დატოვა.

ჰარარე. ზიმბაბვეს რესპუბლიკის პრეზიდენტი კ. ბანანა და ქვეყნის პრემიერ-მინისტრი რ. მუგაბე დღეს ეწვივნენ სსრ კავშირის საელჩოს და ჩანაწერი დატოვეს სამძიმრის წიგნში

ბეირუთი. სსრ კავშირის საელჩოში მისასამძიმრებლად მოვიდა ლიბანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ჟ. ხაუი. მან დატოვა ჩანაწერი, რომელშიც აღნიშნა ლ. ი. ბრეჟნევის უთვალსაჩინოესი როლი მშვიდობის, სოციალიზმისათვის, ყველა ხალხის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

მანილა. ფილიპინების პრეზიდენტი ფერდინანდ მარკოსი, დიდი მანილის გუბერნატორი, ფილიპინ-სსრ კავშირის მეგობრობის საზოგადოების საპატიო პრეზიდენტი იმელდა მარკოსი ეწვივნენ სსრ კავშირის საელჩოს, დატოვეს ჩანაწერი სამძიმრის წიგნში და პატივი სცეს ლ. ი. ბრეჟნევის ხსოვნას.

კატმანდუ. ნეპალის პრემიერ-მინისტრი ს. ბ. თხაპა, ნეპალის მთავრობის სხვა წევრები ეწვივნენ სსრ კავშირის საელჩოს, სამძიმარი გამოთქვეს ლ. ი. ბრეჟნევის გარდაცვალების გამო და დატოვეს ჩანაწერი სამგლოვიარო წიგნში.

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რ. რეიგანი ეწვია სსრ კავშირის საელჩოს შეერთებულ შტატებში და ჩანაწერი დატოვა სამძიმრის წიგნში: „სამძიმარს ვუცხადებ პრეზიდენტ ბრეჟნევის ოჯახსა და საბჭოთა კავშირის ხალხს. დაე, ჩვენი ორი ხალხი ერთობლივად მშვიდობიანად ცხოვრობდეს ამ პლანეტაზე".

რ. რეიგანს ახლდნენ პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში უ. კლარკი და პრეზიდენტის აპარატის ხელმძღვანელის მოადგილე მ. დივერი.

სსრ კავშირის საელჩოს ეწვია აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯ. შულცი.

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ხ. პერეს დე კუელიარი ეწვია სსრ კავშირის მუდმივ წარმომადგენლობას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და ჩანაწერი დატოვა სამძიმრის წიგნში ლ. ი. ბრეჟნევის გარდაცვალების გამო.

ჰელსინკი. ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი მაუნო კოივისტო ეწვია სსრ კავშირის საელჩოს და დიდი სამძიმარი გამოთქვა ლ. ი. ბრეჟნევის გარდაცვალების გამო.

ტოკიო. იაპონიის პრემიერ-მინისტრი დ. სუძუკი ეწვია სსრ კავშირის საელჩოს. იაპონიის მთავრობისა და ხალხის სახელით მან სამძიმარი გამოთქვა ლ. ი. ბრეჟნევის გარდაცვალების გამო.

ოსლო. ნორვეგიის პრემიერ-მინისტრი კ. ვილოკი ეწვია სსრ კავშირის საელჩოს და დატოვა ჩანაწერი სამძიმრის წიგნში ლ. ი. ბრეჟნევის გარდაცვალების გამო.

(საქდესი).

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი

კომისრის თბილი გული

ფრონტელი

ჟურნალისტის

უბის წიგნაკიდან

იდგა 1974 წლის სექტემბრის [illegible] დღეები. გმირი ქალაქის [illegible] სიისკისათვის საპატიო [illegible] გადასაცემად მას ეწვია [illegible] სტუმარი ლეონიდ ილ[illegible] ძე ბრეჟნევი.

7 სექტემბერს, დილით, საქარ[illegible] დელეგაციის ყველა [illegible] თავი მოვიყარეთ სას[illegible] მესამე სართულის ფო[illegible], ლ. ი. ბრეჟნევის რეზიდენ[illegible] ახლოს. ჩვენს დელეგა[illegible] გამოსვლამდე გენერალუ[illegible] მდივანმა თავის ოთახში მი[illegible] მე-18 არმიის სარდლის [illegible] — პოლკოვნიკი ოთარ ლე[illegible] და გულითადად ესაუბრა. [illegible] საათის ისარი 9-ს უზ[illegible]. იღება კარი და ღიმილით, [illegible], მხნედ გამოდის [illegible]. ი. ბრეჟნევი.

— აი, მეც, საქართველოს შვი[illegible], თქვენ განკარგულებაში [illegible], — და დაუმატა: — როგორ [illegible], — მიმოავლო თვალი [illegible], ყათითარდ ხელი ჩამოგ[illegible] და კმაყოფილებით განა[illegible]:

— უთუოდ, თქვენც ჩემსავით [illegible] ხართ აქ ნანახით. [illegible], რომ ჩამოხვედით.

— გმადლობთ, ლეონიდ ილიას [illegible], ყველანი ძალზე ალტაცებუ[illegible] ვართ, — თითქმის ერთხმად [illegible] ყველამ.

ლეონიდ ილიას ძე გვეკითხება [illegible] ვცხოვრობთ, სად ვმუშა[illegible], როგორ წარიმართა ომის [illegible] წლები. ერთი სიტყვით, [illegible] საუბარი გაიმართა. [illegible] იგონებს ფრონტზე გადახ[illegible] ამბებს, ცალკეულ ეპიზო[illegible], ხუმრობს.

— ვალოდია, გახსოვს, — ეუბ[illegible]

სწორედ მაშინ შესთავა[illegible] გი ყურაშვილს ტყვიებ[illegible] ანად დაცხრილული სა[illegible] როცა ლეონიდ ილია[illegible] რტიის თბილისის ორ[illegible] ოქტომბრის რაიკომის [illegible] მდივანი, მცირემიწელი, [illegible] გის პოდპოლკოვნიკი [illegible] იროვი წარუდგინეს, [illegible] მეავტომატეთა ასეულის [illegible] მეთაური, ლ. ი. ბრეჟ[illegible] ოდნავ გვერდზე გადა[illegible] ხუმრობით თქვა:

— ბიჭოს, თქვენთან [illegible] არ შეიძლება!..

ყველამ გულიანად გ[illegible] რა...

ვითარების უშუალო[illegible] მამებული ყოფილი [illegible] ექიმი, მედიცინის მეც[illegible] დოქტორი თამარ გო[illegible] თავს ბრეჟნევს:

— თუ გახსოვართ, [illegible] ილიას ძევ!

— როგორ არა!

— გახსოვთ ზამთარშ[illegible] ლზე მიჯაჭვულმა [illegible] კონსტანტინე ლესელი[illegible] რომ მოისურვა, ბევრი [illegible] ძიეთ, მაგრამ ვერავინ [illegible] ბოლოს თქვენ საიდან[illegible] ინეთ მთელი კასრი დ[illegible] ბული ვაშლი?

— მახსოვს, რა დ[illegible] განა შეიძლებოდა არ გ[illegible] ვით ასეთი სარდლისა[illegible] რას არ გააჩენდა...

[illegible]

მიხეილ დავითაშვილი.

გრძელდება სკკპ XXVI ყრილობის კურსი

ამ დღეებში მთელი მსოფლიოს საზოგადოებრიობის ყურადღება მიპყრობილია მოსკოვისადმი, სადაც საბჭოთა ხალხი ეთხოვება ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს, ლენინის დიადი საქმის ერთგულ განმგრძობს, თანამედროვეობის უთვალსაჩინოეს პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწეს. სხვადასხვა ქვეყნის პრესა, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწენი აღნიშნავენ ლ. ი. ბრეჟნევის უდიდეს ღვაწლს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში, მშვიდობის დასამკვიდრებლად და ბირთვული კატასტროფის თავიდან ასაცილებლად ბრძოლაში.

საზღვარგარეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი იუწყებიან, რომ გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად ერთხმად აირჩიეს ამხანაგი ი. ვ. ანდროპოვი, ამასთანავე ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ პლენუმზე გამოითქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მტკიცე გადაწყვეტილება განაგრძოს სკკპ XXVI ყრილობის კურსი.

ჰანოიში ვიეტნამის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლე ზუანის თავმჯდომარეობით გაიმართა ვიეტნამის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტე[illegible]

ბისა და ქვეყნად მშვიდობის დამკვიდრებისათვის ბრძოლაში თავისი დაუღალავი მეცადინეობით მან ღრმა კვალი დატოვა თანამედროვე ისტორიაში. ინდოეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობისა [illegible]

მეგობლობა, რასაც განაპირობებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს განსაკუთრებული საერთაშორისო ავტორიტეტი, დაიკავა ისეთმა პოლიტიკოსმა კომუნის[illegible]

[illegible]

ნიუ-იორკი. [illegible]

უშიშროების საბჭოში

შეწყდეს ოკუპაცია!

[illegible] ყურადღება მიაპყრო თელ-ავივის მოქმედების პროვოკაციულ ხასიათს, რომელიც ითვალისწინებს ამ გზით დაასამაროს ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მშვიდობიანი და სამართლიანი გადაწყვეტის ყოველგვარი იმედი. მან მოითხოვა დაუყოვნებლივ შეწყდეს ისრაელის ოკუპაცია და განხორციელდეს პალესტინელთა უფლება შექმნან საკუთარი სახელმწიფო პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ხელმძღვანელობით.

უშიშროების საბჭოს სხდომაზე გამოითქვა აგრეთვე სერიოზული შეშფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ თელ-ავივი აძლიერებს რეპრესიებს ოკუპირებული მიწების მოსახლეობის მიმართ. როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პალესტინელი ხალხის ხელშეუვალი უფლებების განხორციელების კომიტეტის თავმჯდომარემ მ. სარმა (სენეგალი) [illegible] ილებენ ახალ ცნობებს დემონსტრაციების დარბევის, სკოლების დახურვის, არასასურველთა დეპორტაციის შესახებ.

პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის მუდმივმა მეთვალყურემ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ზ. ლ. ტერაზიმ აღნიშნა, რომ ყალბია ისრაელის პოლიტიკის წინააღმდეგ ოფიციალური ვაშინგტონის „პროტესტები", რომლებიც საზოგადოებრივი აზრის მოტყუებას ისახავს მიზნად.

● აშშ

„სანქციები" გაუქმდა

ვაშინგტონი. პრეზიდენტმა რ. რეიგანმა გამოაცხადა, რომ გაუქმდა საბჭოთა კავშირის მიმართ [illegible]

● ავღანეთი

ავღანეთში ვითარება სტაბილურია

[illegible]

● ინდოეთი

ვიზიტი დამთავრდა

[illegible] ლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ხ. ოლშოვსკის ოფიციალური ვიზიტი. ვიზიტის დროს იგი მიიღეს ვიცე-პრეზიდენტმა მ. ჰიდაიატულამ, პრემიერ-მინისტრმა ი. განდიმ, აგრეთვე საგარეო საქმეთა მინისტრმა პ. ვ. ნარასიმჰა რაომ, კაბინეტის სხვა წევრებმა.

● გფრ

ბრალდება მოუხსნეს

„არომეისიანის აარავსეის" წინააღმდეგ მაგაისისიაქუპინე სააპჯიქმი

[illegible]

[illegible] ტიკად ჩაახშეს სიოხისტმა ჯალათებმა.

ასობით ადამიანმა, რომლებმაც ხელი მოაწერეს წერილს განაცხადეს, რომ პალესტინის რევოლუციის საქმის, ოკუპირებული სამშობლოს დაცვის საქმის ერთგულნი არიან.

● იტალია

მთავრობა გადადგა

რომი. [illegible]

14 ნოემბერი

საერთაშორისო დედამიწის ზურგზე ცხოვრება

საქპრესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

ფაქტები მოვლენები

კონტრრევოლუციური გამოხდომების აღსაკვეთად

ნიკარაგუის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

მანაგუა. ნიკარაგუის ეროვნული აღორძინების მთავრობამ შესთავაზა ჰონდურასს ამ თვის დამლევს ქალაქ მეხიკოში მოაწყოს უმაღლესი დონის შეხვედრა რეგიონში ვითარების განხილვისა და იმ ღონისძიებათა განხორციელებისათვის, რომელთა მიზანია მშვიდობის შენარჩუნება. ეს ნათქვამია ნიკარაგუის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ განცხადებაში, რომელიც მიეძღვნა ქვეყანაში ჰონდურასის საგარეო საქმეთა მინისტრის ედგარდო პას ბარნიკის ხანმოკლე ვიზიტის შედეგებს.

ეროვნული განთავისუფლების სანდინისტური ფრონტის ეროვნული ხელმძღვანელობის წევრმა, ეროვნული აღორძინების მთავრობის ხელმძღვანელი საბჭოს კოორდინატორმა დანიელ ორტეგამ და საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის დროებით შემსრულებელმა ვიქტორ უგო ტინოკომ მოლაპარაკების დროს გააფრთხილეს ჰონდურასის მთავრობა, რომ ცენტრალურ ამერიკაში მოსალოდნელია ომის დაწყება შეერთებული შტატების პოლიტიკის გამო, რომელიც ჰონდურასის ტერიტორიას იყენებს ნიკარაგუის წინააღმდეგ პროვოკაციებისათვის. მათ მოითხოვეს ღონისძიებათა განხორციელება ჰონდურასის ტერიტორიიდან კონტრრევოლუციური ბანდების გამოხდომების წინააღმდეგ.

ნიკარაგუის ხელმძღვანელობის წარმომადგენლებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ამჟამად ჰონდურასში მიმდინარე ჯარების გადაადგილება სალვადორის საზღვარზე აგრეთვე ქმნის მეზობელ ქვეყანაში კონფლიქტის გაფართოების საფრთხეს.

შეხვედრის დროს ნიკარაგუის მხარემ დაგმო ნიკარაგუის საზღვართან ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჰონდურასის მოვალი ერთობლივი სამხედრო მანევრები და მათ უწოდა პროვოკაცია ნიკარაგუის წინააღმდეგ, რომელიც დაძაბულობას გაამწვავებს რეგიონში.

პრესა აღასტურებს

პირფერობის მაგალითი

დელი. საერთაშორისო სავალუტო ფონდის გადაწყვეტილება, დიდი სესხი მისცეს რასის[illegible]

[illegible] სავალუტო ფონდის [illegible], რომელსაც კონტროლს შეერთებული შტატები უწევს, მიზნად ისახავს განამტკიცოს აპარტეიდის არაადამიანური რეჟიმის პოზიციები, რომლის უღელქვეშ მილიონობით აფრიკელი იტანჯება.

● სალვადორი

სადამსჯელო ოპერაცია

ნიუ-იორკი. ვაშინგტონის მეურვეობით მოქმედმა სალვადორის მხედრიონმა ქვეყნის ჩრდილოეთით დაიწყო თავისი მასშტაბით უპრეცედენტო სადამსჯელო ოპერაცია. იგი დაშინებულია აჯანყებულთა წარმატებული შეტევითი მოქმედებით, რომლებმაც თითქმის ერთ თვეში მწყობრიდან გამოიყვანეს 550-ზე მეტი ჯარისკაცი.

როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის სააგენტო იუწყება, ჩალატენანგოს დეპარტამენტში გაგზავნეს 6 ათასამდე ჯარისკაცი, მათ შორის სამი ბატალიონი, რომელშიც შედიან ამერიკელი „მრჩევლების" მიერ გაწვრთნილი ყაჩაღები. მათ განკარგულებაშია მძიმე არტილერია, ვერტმფრენები და მოიერიშე თვითმფრინავები. ოპერაციაში მონაწილეობს 2 ათასი ჯარისკაცი მეზობელი ჰონდურასიდან, რომლის რეაქციულ რეჟიმს სულ უფრო ფართოდ იყენებს ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია სალვადორში განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩასახშობად. დამსჯელთა უპირველესი ამოცანაა წაართვან პარტიზანებს ქალაქი ლასოსიედადი, რომელიც 145 კილომეტრზე მდებარეობს სან-სალვადორის ჩრდილო-აღმოსავლეთით.

„მზად ვართ იმისათვის, რომ ამჯერადაც საკადრისი პასუხი გავცეთ მხედრიონს, ჩავშალოთ ეს ახალი სადამსჯელო ექსპედიცია", — გამოაცხადა აჯანყებულთა რადიომ „ვენსერემოსმა".

ფოტოფაქტი

ვინ უწყობს ხელს ტერორს?

ამერიკის შეერთებული შტატები აფართოებს სალვადორის საშინაო საქმეებში ჩარევას, რათა ჩაახშოს ცენტრალური ამერიკის ამ ქვეყნის ხალხის რევოლუციური მოძრაობა. პენტაგონი სასწრაფოდ აიარაღებს სალვადორის რეჟიმს. მისი სამხედრო-საჰაერო ძალები გაძლიერებულია ამერიკული საბრძოლო და სატრანსპორტო თვითმფრინავებით, მოდერნიზებულია ფლოტი, რომელსაც შეემატა რაკეტებით აღჭურვილი უახლესი კატარღები. პანამის არხის ზონაში განლაგებული ამერიკის სამხედრო ბაზებიდან სალვადორში გზავნიან ნაპალმს, ტოქსიკურ და ბაქტერიოლოგიურ იარაღს. ამერიკელი სამხედრო მრჩევლები უშუალოდ მონაწილეობენ სალვადორის მხედრიონის მიერ განხორციელებულ ოპერაციებში, დამსჯელებს წვრთნიან ანტიპარტიზანული ომისათვის, რომელიც არსებითად მთელი ხალხის მოსპობას ნიშნავს. მხედრიონის რეპრესიებმა ბოლო სამი წლის მანძილზე ქვეყანაში 35 ათასი კაცი შეიწირა.

• • •

სურათებზე: დამსჯელები სწავლობენ ამერიკული იარაღის ხმარებას, რომელსაც სალვადორელი ხალხის წინააღმდეგ იყენებენ; სალვადორელი ჯალათები ამერიკული იარაღით ხელში.

იუპი-საქპრესის ფოტო.

მოკლედ

ტელეტაიპის ლენტიდან

[illegible]

ჩვენს ქვეყანაში

საქდესის კორესპონდენტები გვატყობინებენ

შეჯიბრების ლიდერები

მურმანსკი. მურმანსკის საზღვაო სათევზაო ნავსადგურის მშრომელების შეჯიბრებაში ლიდერობს ნავსადგურის პირველი სატვირთო რაიონის დოკერთა გამსხვილებული კომპლექსური ბრიგადა, რომელსაც გ. ი. ფიოდოროვი მეთაურობს. ბრიგადის ზეგეგმით ანგარიშზეა ათას ტონაზე მეტი გადამუშავებული ტვირთი. კოლექტივს კარგი მაჩვენებლების მიღწევაში ეხმარება შრომის კარგი ორგანიზაცია, ბრიგადის წევრთა ურთიერთმონაცვლეობა.



სურათზე: მოწინავე ბრიგადის მერგოლური ანატოლი იურპალოვი.

ს. მაისტერმანის ფოტო (საქდესის ფოტოქრონიკა).

ალიმჯანის ყანა

ყაზახეთის სსრ. ალიმჯან ბახტაევის მამა და პაპა მთელი ცხოვრების მანძილზე მენახირედ და მოჯამაგირედ იდგნენ. ენატრებოდათ შებმოდნენ მიწას, თავიანთი მეურნეობა გაეჩინათ, მაგრამ როგორ? მთელი მიწები მემამულეებს ეკუთვნოდათ. ალიმჯანის მამამ ველარ გაუძლო მონობას და უკეთესი ხვედრის საძებნელად წავიდა. მან მშობლიური მხარის სამხრეთი ხეობები გადაიარა, პამირის მთაგრეხილი და მთელი სინძიანი გადაკვეთა ჩინეთში, მაგრამ ბედს მაინც ვერ ეწია...

... ალიმჯანს 50-იანი წლების დამლევს გაუღიმა ბედმა, მან კვლავ ნახა მამა-პაპისეული მხარე, რომლის თავზეც ოქტომბრის დროშა ფრიალებდა. აქ მისთვის ყველაფერი უჩვეულო და გასაოცარი იყო, როგორც სიზმარში. ჭუნგარის ალათაუს ძირში, სადაც ოდესღაც ალიმჯანის მამა ნახირს მწყემსავდა, წამოიმართა ლამაზი სოფელი — კოლმეურნეობა „ოქტომბრის 40 წელი". მეგობრულად და შეხმატკბილებულად ცხოვრობს აქ 14 ეროვნების ხალხი. ისინი ძმურად შეხვდნენ ბახტაევსაც — კოლმეურნეობაში მიიღეს, ნაკვეთი გამოუყვეს, საერთო ძალებით ჯერ პატარა ქოხი დაუდგეს, მერე იმისთანა სახლი აუგეს, თავადებსაც კი შეშურდებოდათ. შემდეგ მერგოლურად აირჩიეს.

ახლა ბახტაევები ყოველ ჰექტარზე 151 ცენტნერ მარცვალს იღებენ.

ბახტაევის უმცროსმა ვაჟმა ნესიფუყაზიმ, კოლმეურნეობის ეკონომისტმა, გამოიანგარიშა, რომ 20 წლის მანძილზე მამის რგოლს 11.629 ტონა მარცვალი მოუწევია და კოლმეურნეობის სალაროში 1,5 მილიონი მანეთი შეუტანია.

სურათზე: მშობლიური მიწის ბარაქა.

გ. პოპოვის ფოტო (საქდესის ფოტოქრონიკა).



ეძიებენ მეცნიერები

მოსკოვი. საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნ. დ. ზელინსკის სახელობის ორგანული ქიმიის ინსტიტუტი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი წამყვანი სამეცნიერო ცენტრია. ამ ინსტიტუტის მეცნიერები იმაზე მუშაობენ, რომ გადაწყვიტონ ფუნდამენტური პრობლემები ორგანული და ბიოორგანული ქიმიის და კატალიზის დარგში.

თანამედროვე ორგანული ქიმიის პერსპექტიული მიმართულებანი დაკავშირებულია აქტიური ნაწილაკების — თავისუფალი რადიკალების გამოყენებასთან.

ლაბორატორიაში შემუშავებულია სამკურნალო პრეპარატების, კინოფოტომასალების საწარმოებელი ფერადი კომპოზიციების, მაღალხარისხოვანი საიზოლაციო მასალების მიღების ახალი პროცესები, სამსხმელო წარმოებაში გამამყარებლების, ქიმიური მრეწველობისათვის მაღალტემპერატურული თბოგამტარების დამზადების პროცესები.

თავიანთი წვლილი შეაქვთ მეცნიერებს სასურსათო პროგრამის შესრულებაშიც.

სურათზე: სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ორგანული ქიმიის ინსტიტუტის ასპირანტი მ. ს. პოლოსიანი და უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი ვ. გ. ვინოგრადოვი ლითონ-კომპლექსური კატალიზატორის კვლევის დროს.

ი. ლიზუნოვის ფოტო (საქდესის ფოტოქრონიკა).

უზუსტესი საზომები

ერევანი. საბჭოთა კავშირის რადიოფიზიკური საზომების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივი უზუსტეს რადიოფიზიკურ საზომ საშუალებათა შექმნაზე მუშაობს. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ინსტიტუტში 8 სახელმწიფო ეტალონი შეიქმნა. ეს არის საზომი აპარატურის კომპლექსები, რომლებიც ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანებს შეიცავენ.

სახელმწიფო ეტალონები საშუალებას იძლევიან გაიზარდოს რადიოკავშირგაბმულობაში, რადიოასტრონომიაში, რადიონავიგაციაში, კოსმოსის კვლევასა და სხვა დარგებში გამოსაყენებელი ანტენების მახასიათებლების გაზომვათა სიზუსტე და უზრუნველყოფილ იქნეს მათი ერთიანობა.

ეტალონების გამოყენების წლიური ეკონომიკური ეფექტი, სულ ცოტა, 50 მილიონი მანეთია.

სურათზე: ლაბორატორიის უფროსი რობერტ აკოფიანი ეტალონების პროფილაქტიკური გასინჯვის დროს.

ე. გაბრიელიანის ფოტო (საქდესის ფოტოქრონიკა).

სპორტი ბავშვების მეგობარია

მოსკოვის ბევრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ბავშვებს კარგი პირობები აქვთ შექმნილი ფიზიკური კულტურისა და სპორტისათვის. სპორტთან ბავშვების მეგობრობის კარგი მაგალითია დედაქალაქის ტიმირიაზევის რაიონის № 849 სკოლა.

რა აქვთ დღეს მასწავლებლებს სპორტში ბავშვების აქტიური ჩაბმისათვის? არის ფეხბურთის მოედანი, მძლეოსნური სარბენი ბილიკები და სახტომი სექტორები, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები. ფიზკულტურის გაკვეთილები კარგად აღჭურვილ სპორტულ დარბაზში მიმდინარეობს. აქ თავიანთი საცურაო აუზიც კი აქვთ.

მართლაც რომ, შემოქმედებითად მუშაობს ფიზკულტურის მასწავლებელთა კოლექტივი. გაკვეთილები ძალზე საინტერესოა. შექმნილია სპორტული სექციები, რომლებიც სწავლისაგან თავისუფალ დროს მუშაობენ. 849-ე სკოლის ფიზკულტურელები აქტიურად მონაწილეობენ რაიონის მოსწავლეთა სპორტულ შეჯიბრებებში.

მთელი სკოლა მონაწილეობს ისეთ ღონისძიებებში, როგორიცაა მშთ ნორმების ჩაბარება, მასობრივი კროსები, სხვადასხვა სახეობის სპორტში პირველობის გათამაშებანი.

ამ სკოლის გოგო-ბიჭებისათვის სპორტი ნამდვილი მეგობარი და თანაშემწე გახდა.

სურათზე: ცურვის გაკვეთილი სკოლის აუზში.

ი. უტკინის ფოტო (საქდესის ფოტოქრონიკა).

უმაღლესი სასწავლებლის მეცნიერული პოტენციალი

თანამედროვე ეტაპზე, როდესაც სახალხო მეურნეობა ძირითადად ინტენსიური გზით ვითარდება, მეცნიერების შემდგომი წინსვლა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება ჩვენი რესპუბლიკის წინაშე სკკპ XXVI ყრილობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით შესრულების ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია.

რესპუბლიკაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების თაობაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმის მიერ შემუშავებული ფართო პროგრამის განხორციელება დიდად შეუწყობს ხელს უმაღლეს სკოლაში მეცნიერების შემდგომ განვითარებას და მისი ეფექტიანობის ამაღლებას, უმაღლესი სკოლის მეცნიერთა მიღწევების წარმოებაში დანერგვის ზრდას, მეცნიერების წარმოებასთან ინტეგრაციის სრულყოფას.

პლენუმზე დასახული ამოცანების განხორციელებაში მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივს, სადაც სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში ჩაბმულია 100-მდე კათედრა, 4 საპრობლემო და 13 დარგობრივი ლაბორატორია, 120 მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორი, 800-ზე მეტი მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი. ეს გახლავთ დიდი მეცნიერული ძალა, რომელსაც, თუ რიგიანად გამოვიყენებთ, შეუძლია გადაწყვიტოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სირთულის ამოცანა.

სწორედ ამიტომ, ინსტიტუტის კოლექტივი მიზანსწრაფულად და გეგმაზომიერად მუშაობს სასწავლებლის მეცნიერული პოტენციალის გასაძლიერებლად. 1976-80 წლებში ინსტიტუტში შესრულებული სამეცნიერო გამოკვლევების შედეგად სახალხო მეურნეობაში დაინერგა 286 სიახლე, რამაც 40 მილიონ მანეთამდე ეკონომიკური ეფექტი მისცა ქვეყანას. ეს მაჩვენებელი 2-ჯერ აღემატება წინა ხუთწლედის მაჩვენებელს. ისიც აღსანიშნავია, რომ ყოველწლიურად იზრდება სახალხო მეურნეობაში დანერგილი თემების რაოდენობა და, ცხადია, ეკონომიკური ეფექტიც. ყოველწლიურად ინსტიტუტის თანამშრომლები გამოგონებისათვის 100-ზე მეტ საავტორო მოწმობას იღებენ.

1981 წელს ინსტიტუტმა მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის საკოორდინაციო გეგმით გათვალისწინებული 12 სამუშაო შეასრულა, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საკოორდინაციო გეგმით — 10 სამუშაო, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საკოორდინაციო გეგმით — 14, საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს საკოორდინაციო გეგმით — 20, საქართველოს მინისტრთა საბჭოს საკოორდინაციო გეგმით კი 18 სამუშაო.

საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მიმდინარე სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის თემატიკა მრავალფეროვანია და სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგს მოიცავს. ეს საქმიანობა რომ უფრო ეფექტიანი იყოს, საჭიროა რაც შეიძლება გაძლიერდეს წარმოებასთან კავშირი, გაიზარდოს სამეცნიერო კვლევის გამოყენებითი მხარე, ფართო ასპარეზი მიეცეს მიღებული შედეგების წარმოებაში დანერგვას. ამ მიზნით თბილისის საავიაციო, რუსთავის მეტალურგიულ, თბილისის საინსტრუმენტო და ბათუმის ნავთობგადასამუშავებელ ქარხნებში შექმნილია საწარმოო უბნები. საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტისა და საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის ერთობლივი დადგენილებით, 1979 წელს შეიქმნა სასწავლო-სამეცნიერო საწარმოო გაერთიანებები „ლითონმჭრელი ჩარხები" და „ელმავალმშენებელი", რომელთა მეთაურ ორგანიზაციებად დამტკიცებულია საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიისა და ელექტრული ტრანსპორტის კათედრები. ამ გაერთიანებათა მუშაობაში მონაწილეობს თბილისის მრავალი სამეცნიერო დაწესებულება და სამრეწველო საწარმო, საკმაოდ ბევრი ასპირანტი და სტუდენტი. მიმდინარე წლის ბოლოს გაწეული მუშაობით მიკროპროცესორების გამოყენებით შეიქმნება რიცხვით-პროგრამულ-მართვიანი უნივერსალური სახარატო ჩარხის პირველი მაკეტი, რომლის სერიულ წარმოებას შეუდგება საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებელი".

„უმაღლესი სკოლის შემდგომი განვითარებისა და სპეციალისტთა მომზადების ხარისხის გაუმჯობესების შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილების საფუძველზე რესპუბლიკის რამდენიმე მსხვილ სამრეწველო საწარმოსთან ჩამოყალიბდა ჩვენი ინსტიტუტის კათედრების ფილიალები. ამ ობიექტებზე სამეცნიერო კვლევას ერთობლივად წარმართავენ წარმოების მუშაკები და ინსტიტუტის თანამშრომლები. ამგვარი მუშაობა მომავალში მნიშვნელოვნად გაფართოვდება.

ჩვენი აზრით, ძალზე ეფექტიანია სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაშლა მრეწველობის სხვადასხვა დარგთან უმაღლესი სკოლის პარტნიორობის საფუძველზე. ამ მიმართულებით ინსტიტუტში არაერთი დამაიმედებელი ნაბიჯი გადაიდგა. ინსტიტუტისათვის გადმოცემულ ტექნიკურ ბაზაზე იქმნება მანქანათა ნაწილებისა და კვანძების ავტომატიზებული დაპროექტების სისტემების პროგრამული უზრუნველყოფის ლაბორატორიები. ასეთი პარტნიორობის საფუძველზე შეიქმნება პროგრამები, რომლებიც საწარმოებს გამოადგებათ მანქანების ნაწილების დაპროექტებისა და წარმოებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ მოწყობილობათა ნაწილი ინსტიტუტს უკვე მიღებული და დამონტაჟებული აქვს, მალე ამოქმედდება 2 მილიონი მანეთის ღირებულების უკანასკნელი სახეობის ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანა და გრაფოამგებები.

ასეთი პარტნიორობა საშუალებას მოგვცემს, რომ უმაღლესი მათემატიკის, საინჟინრო გრაფიკის, მხაზველობითი გეომეტრიის, ეკონომიკურ გაანგარიშებებში ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების გამოყენების კათედრებზე, რამდენიმე დარგობრივ ლაბორატორიაში, სტუდენტთა საკონსტრუქტორო ბიუროებში და ინსტიტუტის სხვა კოლექტივებში სწრაფად შევცვალოთ მეცნიერული კვლევის მიმართულება ახალი აქტუალური სამეცნიერო-ტექნიკური ამოცანების შესაბამისად. ყოველივე ეს კი დაგვეხმარება აღვზარდოთ ახალგაზრდა ინჟინერთა ისეთი თაობა, რომელიც დაუფლებული იქნება დაგეგმარების უახლეს მეთოდებს.

პარტნიორობის ასეთი ფორმა ვითარდება შავი მეტალურგიის სამინისტროსა და ჩვენს ინსტიტუტს შორისაც. გადაწყვეტილია მილის წარმოების რამდენიმე ქარხნის ძალებით გაფართოვდეს თვალაკების წარმოების სამეცნიერო-საწარმოო უბანი რუსთავში. იგი გადაიქცევა საერთო მოხმარების საცდელ საამქროდ.

ინსტიტუტის რექტორატი და პარტიული კომიტეტი ახალ სამომავლო ღონისძიებას სახავს მეცნიერების წარმოებასთან ინტეგრაციის ამ ფორმის გასაფართოებლად.

უმაღლესი სკოლისათვის მეცნიერული კვლევის ეფექტიანობის ამაღლების, ახალგაზრდა მეცნიერთა და ინჟინერთა აღზრდის საკითხის გადაწყვეტის აუცილებელი პირობა საკუთარი საცდელი საწარმოო ბაზაა. პირველად აქ უნდა ვითვისებდეთ ინსტიტუტში დამუშავებული სამეცნიერო კვლევის შედეგებს. ეს გადალახავს ახალი პროდუქციის ათვისებისას უწყებათა შორის არსებულ ბარიერს. საცდელი საწარმოო ბაზები შეგვიქმნის უკეთეს პირობებს საიმისოდაც, რომ აღვზარდოთ ისეთი სამეცნიერო და საინჟინრო კადრები, რომელთაც ექნებათ იმის უნარი, რომ მეცნიერული კვლევის შედეგები უფრო დროულად და წარმატებით დანერგონ წარმოებაში. სწორედ ასეთი სამეცნიერო და საინჟინრო კადრების მომზადება დაუსახა უმაღლეს სკოლას საქართველოს კომპარტიის VI პლენუმმა. ამ ამოცანის გათვალისწინებით ინსტიტუტში კონკრეტული ნაბიჯებია გადადგმული საკუთარი საცდელი საწარმოო ბაზის შესაქმნელად.

მიმდინარე წელს დიღომში დამთავრდება ექსპერიმენტული ბაზის პირველი რიგი. 1983-84 წლებში ინსტიტუტის ტერიტორიაზე დასახულია უფრო მძლავრი საცდელი ექსპერიმენტული საწარმოო ბაზის მშენებლობა, რომლის დამთავრების შემდეგ შეიქმნება შიდასაინსტიტუტო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება. ამ გაერთიანების არსებობა საგრძნობლად შეუწყობს ხელს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას რესპუბლიკის მასშტაბით.

ინსტიტუტის კოლექტივს გათვალისწინებული აქვს აქტიური მონაწილეობა მიიღოს სასურსათო პროგრამისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის პრობლემების გადაწყვეტაში. ლოჭინის ხევში ინსტიტუტის დამხმარე მეურნეობისათვის გამოყოფილ ნაკვეთზე მოეწყობა სამეცნიერო-ექსპერიმენტული პოლიგონი, სადაც უპირველეს ამოცანად მესაქონლეობის ფერმების ნარჩენების მოცილების ავტომატიზაციისა და მათი უტილიზაციის პრობლემის გადაწყვეტას ვსახავთ.

საქართველოს კომპარტიის პლენუმმა ყურადღება გაამახვილა იმაზეც, რომ საჭიროა სამეცნიერო პოტენციალის შემდგომი გაძლიერება. ამ საქმეშიც, რა თქმა უნდა, უმაღლესმა სკოლამ თავისი წვლილი უნდა შეიტანოს. მით უმეტეს, რომ უკანასკნელ ხანს რესპუბლიკაში უმაღლესი სკოლის სამეცნიერო პოტენციალის ზრდის ტენდენცია სამეცნიერო კადრების თვალსაზრისით არ შეიმჩნევა. ამ მხრივ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტსაც საკმაოდ რთული პრობლემები აქვს მოსაგვარებელი. მთავარი მაინც ის არის, რომ ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების მომზადებას, უფრო ნათლად რომ ვთქვათ, მეცნიერთა თაობების ცვლას ვერ წარვმართავთ ისე, როგორც ამას თანამედროვეობა მოითხოვს. კერძოდ, მცირეა ასპირანტურის ეფექტიანობა; უკანასკნელ 5 წელიწადში ინსტიტუტში მომუშავე მეცნიერებათა დოქტორების რიცხვი შემცირდა.

კარგად გვესმის რა ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების მომზადების მნიშვნელობა, საქართველოს კომპარტიის VI პლენუმის დადგენილების შესაბამისად ინსტიტუტში უკვე დავამუშავეთ ახალგაზრდა მეცნიერთა მომზადების პერსპექტიული პროგრამა. ამ საქმეში არსებითია ის, რომ ინსტიტუტის შიდა რეზერვების ხარჯზე, შრომითი ანაზღაურების სრული შენარჩუნებით პერსპექტიულ მეცნიერებათა კანდიდატებს საშუალება მიეცემათ მთელი დატვირთვით იმუშაონ სადოქტორო დისერტაციებზე.

რადგან ახალგაზრდა მეცნიერებზე ჩამოვარდა სიტყვა, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმის იმ მოთხოვნის შესაბამისად, მეცნიერებაში ახალგაზრდა ძალების მოსაზიდად, ინსტიტუტში კონკრეტულ ღონისძიებებს მივმართავთ, რათა რაც შეიძლება მეტი სტუდენტი ჩავაბათ აქტიურ სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში. ამ თვალსაზრისით ყველაზე ეფექტიან საშუალებად მივიჩნევთ სტუდენტთა საკონსტრუქტორო ბიუროების ქსელის გაფართოებას და მათში ნიჭიერი სტუდენტების გაერთიანებას შრომის ანაზღაურებით. ამჟამად ინსტიტუტში სტუდენტთა 18 საკონსტრუქტორო ბიუროა. ახლა საკმაოდ ბევრი მომავალი ინჟინერი ჩაბმული სამეურნეო სახელშეკრულებო და სახელმწიფო-საბიუჯეტო თემების შესრულებაში, საპრობლემო და დარგობრივ ლაბორატორიებში. ასეთი სახის სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში სტუდენტთა მთელი კონტინგენტის დაახლოებით 10 პროცენტი მონაწილეობს. მომავალში განზრახული გვაქვს ეს მაჩვენებელი 20 პროცენტამდე გავზარდოთ.

VI პლენუმზე ამხ. ე. ა. შევარდნაძემ აღნიშნა: „მეცნიერული შემოქმედების შემდგომი აღმავლობა, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების პრაქტიკაში, ცხოვრებაში დანერგვა უნდა გახდეს თითოეული პარტორგანიზაციის ნომერ პირველი პარტიული საქმე". ეს ამოცანა უმაღლესი სკოლის პარტიული ორგანიზაციის წინაშე განსაკუთრებული აქტუალურობით აყენებს მეცნიერებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარების მიმართულებით პარტიული გავლენის შემდგომი გაძლიერების საკითხს. უმაღლესი სკოლის პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ სამეცნიერო კოლექტივების მუშაობის სწორი სტილის და მეთოდების ჩამოყალიბება, კოლექტივებში ჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის, ნამდვილი შემოქმედებითი ატმოსფეროს შექმნა.

ამ მუშაობაში განმსაზღვრელ ფაქტორად მივიჩნევთ კომუნისტების ავანგარდული როლის ამაღლებას, თითოეული კომუნისტის განსაკუთრებულ პარტიულ პასუხისმგებლობას. დაქვემდებარებულ უბანზე მთავარ ამოცანად მიგვაჩნია ინსტიტუტში მიმდინარე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებასთან დაკავშირებული მთელი საქმიანობის იდეოლოგიური უზრუნველყოფა.

ამ მიზნით პარტიულმა კომიტეტმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმის შედეგებზე სპეციალურად იმსჯელა ინსტიტუტის პარტიული აქტივის კრებაზე. კრების მომზადებაში მონაწილეობდა ინსტიტუტის ყველა კათედრა, პარტიული ჯგუფი, ფაკულტეტი, რექტორატის ყველა სამსახური. აქტივისათვის დამუშავდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიზნობრივი კომპლექსური პროგრამები მიმართულებების მიხედვით. პროგრამები მომზადდა აგრეთვე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების მიხედვით. პარტიული აქტივის კრებამ დაამტკიცა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ერთიანი საინსტიტუტო კომპლექსური გეგმა-პროგრამა, რომელშიც მაქსიმალურად არის გათვალისწინებული ინსტიტუტის თითოეული მუშაკის, კომუნისტის, კათედრისა და ფაკულტეტის შესაძლებლობანი. პროგრამების განხორციელებას ხელმძღვანელობს ინსტიტუტის საკოორდინაციო საბჭო და პარტიულ კომიტეტთან შექმნილი სამუშაო ჯგუფი. ანალოგიური ხელმძღვანელი ორგანოები შექმნილია ყველა ფაკულტეტზე.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მრავალათასიან კოლექტივს, მის მძლავრ პარტიულ ორგანიზაციას თავის სადღეისო ერთ-ერთ უმთავრეს საზრუნავად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელება მიაჩნია და ისინი ამ მიზნის მისაღწევად წარმართავენ თავიანთ მეცადინეობას.

დ. ჯაფარიძე,
საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მდივანი, დოცენტი.

გ. გოშაძე

გარდაიცვალა საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის მოადგილე, 1944 წლიდან სკკპ წევრი გაბრიელ ნოეს ძე გოშაძე.

გ. გოშაძე დაიბადა 1923 წელს თბილისში, მოსამსახურის ოჯახში. საშუალო სასწავლებლის დამთავრებისთანავე, 18 წლის ასაკიდან შეუდგა შრომით საქმიანობას, იყო პიონერულ და კომკავშირულ სამუშაოზე. 1943-1944 წლებში კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის მდივანია. მუშაობის პარალელურად დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი და რესპუბლიკური პარტიული სკოლა. 1944 წლიდან სხვადასხვა დროს გ. გოშაძე მუშაობს პარტიის თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორად, პარტიის თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრისა და პირველი მაისის რაიკომების პირველ მდივნად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილედ, 1963 წლიდან 1976 წლამდე იყო თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო შემდეგ, გარდაცვალებამდე, საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის მოადგილე.

გ. გოშაძე აქტიურად მონაწილეობდა პარტიულ და საზოგადოებრივ საქმიანობაში, სხვადასხვა დროს არჩეული იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატად, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის წევრად, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, პარტიის რაიკომების ბიუროების წევრად, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის წევრად.

ყოველთვის, ყველა სამუშაოზე, სადაც კი პარტია გზავნიდა, გ. გოშაძე ავლენდა უნარიან ხელმძღვანელის თვისებებს, მუშაობდა დიდი მონდომებით, გამოირჩეოდა კეთილსინდისიერებით, თავმდაბლობით და გულისხმიერებით, მუშაკთა შორის სარგებლობდა პატივისცემითა და სიყვარულით.

მისი დამსახურება აღნიშნა მთავრობის ჯილდოებით — ორი „საპატიო ნიშნის" ორდენითა და მედლებით „კავკასიის დაცვისათვის" და „დიდი სამამულო ომის პერიოდში მამაცური შრომისათვის".

გ. გოშაძის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი ამხანაგებისა და მეგობრების გულში.

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო; თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი.

ჩემპიონები ერთი ტურით ადრე

მოჭადრაკეთა მსოფლიო ოლიმპიადების მეცამეტე ტურში სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრები შეხვდა შვეციის გუნდს და გაიმარჯვა ანგარიშით 2,5:1,5. ტალმა დაამარცხა შნაიდერი, კასპაროვი დაუზავდა ანდერსონს, პოლუგაევსკი — მიუსლერს, ბელიავსკი — კარლსონს. ბოლო ტურის წინ საბჭოთა მოჭადრაკეებს 40 ქულა ჰქონდათ. მომდევნო ადგილზეა ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები, რომელსაც 32 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს. ჩეხოსლოვაკიელებს ჯერჯერობით 31,5 ქულა აქვთ და 3 დასამთავრებელი პარტია დარჩათ. აღსანიშნავია, რომ ჩვენმა ვაჟებმა ერთი ტურით ადრე გაინაღდეს ოლიმპიადის ჩემპიონთა წოდება.

მეცამეტე ტურში სსრ კავშირის ქალთა ნაკრებმა დაამარცხა ამერიკის შეერთებული შტატების გუნდი — 2,5:0,5. ჩიბურდანიძემ მოუგო სევერეიდს, ალექსანდრიამ — ჰარინგს, ხოლო გაფრინდაშვილი დაუზავდა ლანის. ბოლო, მეთოთხმეტე ტურის წინ ჩვენს ქალებს 30,5 ქულა ჰქონდათ.

ბოლო ტურის მატჩები დღეს გაიმართება.

ოლიმპიადასთან ერთად მუშაობას განაგრძობს საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის (ფიდე) კონგრესი. კონგრესზე საბჭოთა მოჭადრაკე, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი არჩეულ იქნა ფიდეს ქალთა კომისიის თავმჯდომარედ. კონგრესი გაგრძელდება 16 ნოემბრამდე.

გარდა ამისა, კონგრესმა, რომელიც მიმდინარეობს ფიდეს ახალი პრეზიდენტის ფლორენსიო კამპომანესის თავმჯდომარეობით, საბჭოთა მოჭადრაკეებს ს. დოლმატოვს (მოსკოვი) და ლ. ფსახისს (კრასნოიარსკი) მიანიჭა საერთაშორისო დიდოსტატის წოდება. ასეთივე წოდება ქალთა შორის მიენიჭა კიეველ ლიდია სემიონოვას. დიდოსტატთა წოდება მიეკუთვნათ აგრეთვე სხვა ქვეყნების წარმომადგენლებს. დიდოსტატი ი. ავერბახი აირჩიეს ფიდეს საკვალიფიკაციო კომისიის თავმჯდომარედ, ხოლო დიდოსტატი ნ. კროგიუსი ფიდეს წესების კომისიის თავმჯდომარედ.

საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების საკავშირო დათვალიერება

გზა ვერ ითმენს უწესრიგობას

შემოდგომა-ზამთრის პერიოდი ხშირი წვიმებით, ნისლიანობით და სხვა რთული მეტეოროლოგიური პირობებით დამატებით სიძნელეებს უქმნის საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებას. სწორედ ამიტომ შეირჩა ეს პერიოდი საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების დათვალიერების ჩასატარებლად. ამჯერად აღნიშნული ღონისძიება დღეიდან დაიწყება და 15 დეკემბრამდე გასტანს. როგორც ყოველთვის, იგი თავის ძირითად ამოცანად ისახავს ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობასა და მძღოლთა შემადგენლობაში აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებას, საავტომობილო ტრანსპორტის ტექნიკური გამართულობისათვის სატრანსპორტო მეურნეობების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის გაზრდას, რაც დიდ გავლენას მოახდენს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების რიცხვის შემცირებაზე.

დათვალიერების პერიოდში დიდი მნიშვნელობა მიენიჭება საავტომობილო ტრანსპორტისადმი მტკიცე სახელმწიფოებრივი კონტროლის დამყარებას, რასაც ჩვენი რესპუბლიკის ზოგიერთი ავტოსატრანსპორტო საწარმოს, ავტომეურნეობის, უწყებისა და სამინისტროს ხელმძღვანელები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ. ეს ის აუცილებელი პროფილაქტიკური ღონისძიებანია, რომლებმაც უნდა შექმნან ტრანსპორტით მგზავრების გადაყვანის, ტვირთის გადაზიდვისა თუ სხვა სატრანსპორტო საქმიანობის დროს მოძრაობის უსაფრთხოების სრული გარანტია.

მასობრიობა ნებისმიერი საზოგადოებრივი, სახელმწიფოებრივი ღონისძიების განხორციელებისას წარმატების უპირველესი გარანტიაა. ამიტომაც აუცილებელია, თითოეულმა მოქალაქემ სწორად შეაფასოს საავტომობილო გზებზე თუ ქუჩებში შექმნილი ოპერატიული მდგომარეობა, ღრმად შეიგნოს ამ მხრივ თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობა.

რასაკვირველია, ღონისძიებათა იმ ფართო კომპლექსის განხორციელებისათვის, რომელსაც დათვალიერების პროგრამა ითვალისწინებს, მარტო სახელმწიფო ავტოინსპექციის ძალები არ კმარა. ამ მნიშვნელოვან საქმეში აქტიურად უნდა ჩაებან რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებები, საზოგადოებრივი ავტოინსპექტორები, სახალხო რაზმელები, ავტო-მოტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლები; თავიანთი გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვან საავტომობილო ტრანსპორტის, საავტომობილო გზების, სოფლის მეურნეობის და სასოფლო მშენებლობის სამინისტროებმა, ცეკავშირის გამგეობამ, „საქსასოფლტექნიკამ". სამინისტროები და უწყებები, რომელთაც აქვთ ავტოსატრანსპორტო საწარმოები, ავტოინსპექციის დასახმარებლად გამოყოფენ აპარატების ხელმძღვანელ მუშაკებს. მოძრაობის უსაფრთხოების დათვალიერების მაღალ დონეზე ჩატარების მიზნით ეს ორგანიზაციები მოაწყობენ რეიდებს რესპუბლიკის უმნიშვნელოვანეს გზებზე ავტოსატრანსპორტო საწარმოების შემოწმებას, გააძლიერებენ ავტომეურნეობებში საზოგადოებრივი კონტროლის კომისიათა მუშაობას, ტრანსპორტის თითოეულ მუშაკს განუმარტავენ მოძრაობის უსაფრთხოების დათვალიერების მიზნებს და ამოცანებს.

დათვალიერების პერიოდში დიდი ყურადღება მიექცევა სააგიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობას, რომლის არსენალში მრავალი საშუალება და მეთოდია. სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული აღმასკომები ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების შესასვლელებთან თვალსაჩინო ადგილებზე გამოაკრავენ ტრანსპარანტებსა და ლოზუნგებს, რომლებიც მძღოლებსა და ქვეითად მოსიარულეებს აუწყებენ დათვალიერების მიმდინარეობას.

საქართველოს ავტო-მოტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების წარმომადგენლებმა უნდა ჩაატარონ ლექციები და საუბრები ავტო-მოტოტრანსპორტის ინდივიდუალურ მფლობელთა შორის მოძრაობის უსაფრთხოების თემებზე, საქართველოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის კინოგაქირავების სამმართველომ რესპუბლიკის კინოთეატრებში უნდა მოაწყოს მოძრაობის უსაფრთხოების თემაზე შექმნილი მოკლემეტრაჟიანი მხატვრული და დოკუმენტური კინოფილმების დემონსტრირება. მოსახლეობაში გავრცელდება პლაკატები, მოწოდებები, გაიმართება თემატური საღამოები, დათვალიერების მიმდინარეობა აისახება პრესაში, ტელევიზიისა და რადიოს სპეციალურ გადაცემებში.

ბავშვთა სატრანსპორტო ტრავმატიზმი ყველაზე მტკივნეული ადგილია ჩვენი რესპუბლიკის თითოეული მოქალაქისათვის. სახელმწიფო ავტოინსპექცია რეგულარულად ახორციელებს მთელ რიგ ღონისძიებებს, რათა ჩვენს გზებზე არ იღუპებოდეს, არ ხეიბრდებოდეს ნორჩი თაობა. დათვალიერების დროს გააქტიურდება ამ მხრივ მუშაობა. განათლების სამინისტროს მუშაკები სახელმწიფო ავტოინსპექციის თანამშრომლების დახმარებით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გამართავენ საუბრებს, მოსწავლეებს განუმარტავენ დათვალიერების ამოცანებს. საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალურ კომიტეტთან, საზოგადოებრივ ავტოინსპექტორთა საბჭოს მეთოდურ სექტორთან ერთად გაიმართება ლექცია-საუბრები.

ცხადია, დათვალიერების პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებათა წარმატებით განხორციელება ბევრადაა დამოკიდებული შინაგან საქმეთა, საქალაქო და რაიონული განყოფილებების, სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკთა, მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის კომისიების უნარიან და გააზრებულ მუშაობაზე, მაგრამ ყოველივე ეს მართლაც ზღვაში წვეთი იქნება, თუ საგზაო მოძრაობის თითოეული მონაწილე, თითოეული მოქალაქე არ გამოიჩენს მაქსიმალურ პასუხისმგებლობას, არ იქნება დისციპლინირებული მოძრაობის წესების დაცვაში.

გზას, მოძრაობას მკაცრი, მაგრამ ლოგიკური კანონი აქვს — იგი მოითხოვს დისციპლინას, წესების მუდმივ, უყოყმანო შესრულებას, იგი არავის არ აპატიებს დაუდევრობას და უპასუხისმგებლობას. სწორედ ამ საკითხებზე ამახვილებს კვლავ და კვლავ საზოგადოების ყურადღებას ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის უსაფრთხოების დათვალიერება. მისი წარმატებით განხორციელება თითოეული მოქალაქის სისხლხორცეული მოვალეობაა.

ვ. შადური,
საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე.

რედაქტორი გ. ბედინეიშვილი.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 06550